

ფასი 8 კაპ. რუკონც.



№ 8

მაზ. „ქვეყნისში“-ს საღმრთაო-სამხარებო მუშაკთა დაგეგმვა

№ 8

მეზობელ ფრანს

მიმდინარე წლის 16 აპრილს ანატოლ ფრანსს დაბადებიდან ოთხმოცი წელი შეუსრულდება.

ანატოლ ფრანსი მეტად თვალსაჩინო ფიგურაა არა მარტო საფრანგეთის, არამედ მთელი მსოფლიო ლიტერატურაში.

50 წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც ის სათავეში უდგას ლიტერატურულ საფრანგეთს.

სდგას როგორც ამაყი მუხა; ცხოვრების ქარიშხალში უქანასკნელ ხანაში ვერაფერი დააკლო მას.

ოლიმპიელის სიმშვიდით, ირონიული ღიმილით გადაჰყურებს სამყაროს.

ეს ირონიული ღიმილი არ სცილდება მას სახეზე ერთი წუთითაც.

ეს ღიმილი ცოცხლობს, გადაბრძის მის ნაწერების სტრიქონიდან სტრიქონზე.

მისმა მახვილმა ქუთამ და მალაღმა გონებამ სიჭაბუქეშივე დაინახა ცხოვრების სიმანხივე.

მაგრამ ის არ იყო პოლიტიკოსი, მებრძოლი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ისე, როგორც გვეხმის ეს რევოლუციონერებს.

ცხოვრების სიმანხივის წინააღმდეგ ბრძოლის ერთი იარაღი მისთვის სარკახში არის.

მითელი თავისი არსებით, შემოქმედებით, ჯლით, გულით იგი ჩაგრულთა მხარეზეა.

მან აღიარა, მიიღო მებრძოლი კლასის, პროლეტარიატის კრიტიკა ბურჟუაზიური საზოგადოებისა.

ის თავის უაღრესად მხატვრულ ნაწერებში დასკინოდა იმას, რის წინააღმდეგ მუშათა კლასი პოლიტიკურ ბრძოლას აწარმოებდა, ბარკადებზე გამოდიოდა, წითელ ღრეშას აფრიალებდა.

ა. ფრანსის წიგნებში „ღმერთებს სწყურიათ“, „ანგელოსების აჯანყება“, „ანატონი ბერეჩე“, „პინგვინების კუნძული“, — პოლ გზელის მიერ შეტყობილში „საბურები ანატოლ ფრანსთან“ მუშათა კლასი ნახავს მრავალ რამეს, რაც ენათესავება, ახლოა მის კლასობრივ ბრძოლასთან.

მაგრამ მას მრავალ კარგ თვისებებთან ერთად მეორეყოფა და გაუბედვრობა ახასიათებდა.

თანამეორევე ლიტერატურულ ბუმბერაზებს შორის მხოლოდ გენიალურმა პანრი ბაბრუისმა და რამდენიმე სხვამ სძლია ეს მერყეობა და მტკიცეთ და ურყევად გადავიდა მებრძოლი კლასის ბანაკში.

ფრანსი ღრმა ფილოსოფოსია, ის მეცნიერი, მხატვარი, ანალიზატორია. მისი ანალიზი, როცა ის ეხება თანამედროვე სოციალურ საკითხებს, გენსიანია. მაგრამ ეს არ არის დაკონცეპტუალური. მან თავის ფიქრებში, აზრში დაინახა უკეთესი სამყარო, ის ბურჟუა-

ზიულ-მეშინურ საზოგადოებაზე მალა დგას და თავისი მიუდგომელი მწვერვალიდან დაჰყურებს მას.

ომის დროს ლიტერატურული ფრონტი დაირღვა, დაიშალა.

აშკარად რეაქციონერი, შერაზბული ელემენტები, საბოლოოდ და სამუდამოდ გადაბარგდენ ბურჟუაზიის ბანაკში. ასეთი იყო დიდი უმრავლესობა.



ანატოლ ფრანს

ძლიერ ცოტანი აღმოჩნდნენ ისეთები, რომლებმაც აღნიშნულს ხმა იმპერიალისტ ყაჩაღების მიერ დაწყებულ საშინელი სისხლისღვრის წინააღმდეგ, დაინახეს, რომ ის „საკაცობრიო“ იდეალები, რომელთა დასაცავად ვითომდა დაიწყო ომი, ფაქტიურად ბურჟუაზიის ძველი ღმერთია—ოქროს ღმერთი.

ბურჟუაზიის ბანაკში გადაბარგებულ დიდ უმრავლესობასა და ომის წინააღმდეგ ამხედრებულ უმცირესობას შორის იყო კიდევ საკმაოდ დიდი ჯგუფი ლიტერატორებისა, რომელსაც ვერ მოეხერხებოდა თვითგამორკვევა, ვერ გამოეჩინებოდა საბოლოოთ ვისკენ გადასულიყო.

ამ ჯგუფს, რომელიც ლიტერატურულ ჰაობს წარმოადგენდა სხვადა, ევაგრებოდა ისინი, ვინც ასეთი სიერთაგულით ემსახურებოდა სისხლის ღვრის ღმერთს, მაგრამ მას აფრთხილდა წითელი აჩრდილიც, გაბედული ნაბიჯების გადადგმა, პირდაპირი მოქმედება.

ომის დასრულების შემდეგ ლიტერატურულ წრეებში გადაჯგუფება მოხდა.

დაიწყო „ჰაობის“ თვითგამორკვევა. ოქტომბრის რევოლუციამ დააჩქარა და გააძლიერა ეს პროცესი.

აჯანყებული მუშისა და გლეხის ჩადგომამ სახელმწიფოს სათავეში ახალი ერა შექმნა კაცობრიობის ისტორიაში.

ყველაზე შორსმჭვრეტელი ლიტერატურული ბანაკიდან სწორად შეაფასეს რუსეთის მუშათა კლასის გმირული ბრძოლა.

მრავალმა მათგანმა, რომელთაც წინათ აშინებდათ რევოლუციონერი პირდაპირი მოქმედება, რუსეთის მუშათა კლასში დაინახეს თავისი საუკეთესო იდეალების განმარტოვებელი.

სამოქალაქო ომის ცეცხლის და ქარიშხლის იქით განჭვრიტეს განახლებული კაცობრიობა.

მუშათა და გლეხთა რევოლუციამ ეს მერყევი ელემენტები თავის საუკეთესო მეგობრებად გაიხიდა.

საერთაშორისო კონტრ-რევოლუციის ყველაზე მკაცრი შეტევის დროს საერთაშორისო რევოლუციის ციხე-ბურჯზე, საბჭოთა რუსეთზე, 1919 წელს, პარიზში მოეწყო „ლივა საერთაშორისო სოლიდარობისა, რომელიც მიმართულია ინტერნაციონალის გამარჯვებისაკენ“.

ეს იყო ჯგუფი „კლარტე“ („სინათლე“).

ჯგუფი „კლარტე“-ს შესდგა მილიტარიზმთან სასტიკი ბრძოლისა და მესამე ინტერნაციონალის დახმარების პლატფორმაზე.

„კლარტე“ წამოადგენს ევროპის იდეალისტურად განწყობილი ინტელიგენციის გაერთიანებას.

მიუხედავად იმისა, რომ მისი სიმპატიები საესებო მესამე ინტერნაციონალისა და საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების მხარეზეა, ეს ჯგუფი არ წარმოადგენს კომინტერნის მებრძოლ რაზმს.


მაგრამ ამ ჯგუფში თავმოყრილი ხალხი მტკიცედ გაიმჯიხა მტაცებელ ყაჩაღებისაგან და აღიარა პროლეტარიატის ბრძოლის სამართლიანობა.

მრავალი დიდი მწერალი ამშვენებს ამ ჯგუფს და მათ შორის ერთი თვალსაჩინოთაგანია ანატოლ ფრანსი, რომელმაც მოხუცებულობის ეპის იბილა ძალა, რომელიც სინამდვილეთ აქცევს მის შორეულ იდეალებს.

ანატოლ ფრანსმა თავი დააბწია იდეალისტურ მერყეობას და საჯაროდ აღიარა თავისი სიმპატიები აჯანყებული მუშათა კლასისადმი.

ამიტომ არის რომ მთელი მუშათა კლასი გულის ფანქვლით აღევნებდა თვალს მის ავადმყოფობას (იანვარში ფრანსი ძლიერ ავით გაჩდა).

საბჭოთა კავშირის მშობიელ ხალხს იგი თავის საუკეთესო მეგობრად მიაჩნია.



საგმომთა სახელმწიფოს პოლიტიკა ხელოვნებაში


ამ წერილში მე არ ვისახავ მიზნათ ხელოვნებაში საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის ისტორიული მიმოხილვა გავაკეთო, არამედ მსურს აღვნიშნო როგორია ამ პოლიტიკის მთავარი პრინციპები.

პირველ ყოვლისა რა ამოცანები სდგას სახელმწიფოს წინაშე ხელოვნების დარგში სრულიად ნათელია, რომ სახელმწიფო ვერ იტყვის უარს იმ დიდ მხატვრულ განძეულობათა სერიოზულ სახელოვნო ტრადიციების მქონე დაწესებულებების დახმარებაზე, რომლებიც პროლოგარულმა სახელმწიფომ წინანდელი ეპოქისაგან მიიღო. საბჭოთა ხელოვნებაში თაგის თავზე აიღო მუხეუმების, სახელმწიფო აკადემიური თეატრების, სახელმწიფო ფილმების ქარხნის და ზოგიერთ სხვა დაწესებულებების დაცვა; საბჭოთა ხელოვნება ერთდროულად მოჭრადებლათ ნგრევის ამ დარგში. მან უარი სთქვა ძვირი, უმთავრესად მაღალი კვალიფიკაციური კერისონალის დათხოვნაზე და მის შევლაზე ახალი ხალხით, რომლებიც სრულიად არ იძლიოდნენ ისეთი რთული მუშაობისადმი და სპეციალური საშისადმი ფრთხილად მიდგომის გარანტიას. მაგრამ ის ამ საქმის ხელმძღვანელობაში „ანრაგია“ განსაკუთრებით ზეიოან, კომუნისტებს ან ხალხს, რომლებიც მიემხრენ ოქტომბრის რევოლუციას. როგორც ეს, ისე მოელო ის ატმოსფერო, რომელიც ამ დაწესებულებების გარშემო იყო შექმნილი. ხელს უწყობდა მათ თანათანობით გარდაქმნას. და უნდა ითქვას, რომ სწორედ ესაა, როცა საბჭოთა ხელოვნება საბოლოოდ განმტკიცდა, როცა მან შესძლო ასე თუ ისე ნორმალური პირობების შექმნა კულტურული ცხოვრებისათვის, ჩვენ შეგვიძლია ველოდეთ, მიუხედავად ახალი ეკონომიკური პოლიტიკის კულტურულად უარყოფითი გამოცდებისა, მხატვრულ განძეულობათა შექცეული და მხატვრული ტრადიციების მქონე დაწესებულებების დაჩქარებულ და გაძლიერებულ ევოლუციის ხალხის მასების მოთხოვნილობებთან შეგუებისაკენ.

ამოცანათა მეორე სერიას შეადგენენ სამხატვრო-სამრეწველო ამოცანები. სამხატვრო მრეწველობა სახალხო მერხნობის ფრიად მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს. ის ასეთი არის პირველ ყოვლისა თავისი ადგილით მრეწველობის სისტემაში და მეორედ, თავისი ამოცანებით სამხატვრო მრეწველობის ამოცანას საბოლოო ანგარიშით წარმოადგენს მათების მხატვრული, და შეიძლება ითქვას ნაწილობრივ სულიერი ყოფის რეფორმა. ჩვენს წინაშე იშლება სოფლის შემოქმედების გაქორციელებისა და უფროსისაგან განთავისუფლების ხალხის ჯერ კიდევ უსახო შემოქმედებითი ძალების მექანიკულ და მძლავრ კულტურის სფეროში ყოფი, თანამედროვე ხელოვნების ინტელექტუალური ინდივიდუალური ძიებებთან დაკავშირების ფართე შესაძლებლობანი. ჩვენ შეგვიძლია გამოავლინებოთ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ ერების სამხატვრო-სამრეწველო საგნების ექსპორტი საზღვარგარეთ და ამასთან ერთად, შესაძლებელია, წინასწარ ნაბიჯით შევადგეთ ჩვენი გლხის და მუ-

შის ჯერ კლებების. შესაქრები ადგილების და შემდეგ ბინების სახეობის გარდაქმნას. ყველა ამასი კაცობრიობამ ჯერ კიდევ პირველი ნაბიჯები გადასდგა, მაგრამ ის სამხატვრო სამრეწველო ამოცანებს ერთ ერთ მნიშვნელოვან ამოცანათ თვლის.

მესამე, უსათუოდ სახელმწიფო ამოცანას შეადგენს მხატვრული აღზრდის ორგანიზაცია. აღზრდის ყველა დარგებში ჩვენ სრულიად უარგყავით კერძო შკოლის პრინციპი. ჩვენ პირობით დაღუფით სპეციალური სამხატვრო შკოლები, რომელთაც კანტროლს უწევს სახელმწიფო, მაგრამ მათი დიდი ნაწილი და ყველა უმაღლესი შკოლები დარჩებიან სახალხო განათლების კომისარიატის სისტემის გარეშე. ეს სახელმწიფოს წინაშე უდიდესი მნიშვნელობის ამოცანებს აყენებს. საქაროა არა მარტო ის, რომ მოვახერხოთ, მიუხედავად ჩვე-



ანატოლ ლუენაჩაძისა

ნი სიღარიბისა, რომდენიმე მაინც ნორმალურათ მოვაწყოთ სამხატვრო-განმანათლებელ დაწესებულებათა ქსელი—მხატვრობის, ქანდაკების, მუსიკის, თეატრის, ლიტერატურის, — არამედ აგრეთვე დავიცვათ ისინი იმ ბუნებრივი, მაგრამ ნაკლებ სახეგეო „მიმართულე-ბიანობისაგან“, რომელიც გამეფებულია ხელოვნებაში; უნდა მივცეთ მოზარდ თაობას, ახალგაზრდობას შესაძლებლობა შეიძინოს პოზიტიური ცოდნა, თუჯერ ტრადიცია ხელოვნების, იმისათვის, რომ როცა მომწიფდებიან, მათ თვით გამოარკვეონ თავისი მიმართულება და არ იყენ ჩათრეული ამა თუ იმ შკოლაში წინდაწინ, მომწიფებათი მან, ვინც ახლო დგას ამ სქესთან, იცის თუ რომდენათ ძნელი ეს შეიძლება კმაყოფილებით აღინიშნოს, რომ თუ განათლების კომისარიატი, მძიმე გაქორციელების და ზოგიერთ სხვა უწყვეთ მიერ „სარგებლობის“ პრინციპის წმყოფების გამო იძულებული გახდა სავაძნობათ შეეცეკა სამხატვრო აღზრდის სფერო, სამაგიეროდ სახელმწიფო გეგმათა სამმართველო ამ რამდენიმე ხნის წინათ საქაროდ აღიარა ასეთი ქსელის გაშლის ფრთხილად დაწყების საქაროება.

სახელმწიფოს მეოთხე ამოცანას შეადგენს ხელოვნების გამოყენება ავტოცაციის მიზნით. ამათ რიცხეს ეკუთვნენ პლაკატები, რევოლუციონური სიმღერები, რევოლუციონური

საესტადო ნომრები, საავტოცაციო ბელეტრისტიკა. ყველაფერი ეს ერთ დროს ყველა ჩვენში. ყველაფერი ეს რამდენიმე მიმქარალია ესა, მაგრამ ყველაფერი ეს, ექვს გარეშეა, ჯერ კიდევ რჩება პოლიტიკური განათლების ყველაზე უფრო სასურველ იარაღად და, შეშესაძლოა, უკვე დრო არის შევიფოშოთ პროგრამა იმის, რის გაკეთებაც შეუძლია ამ მხრივ სახელმწიფოს. მე საქაროდ ვთვლი არ იქნეს აღრეული ეს წმინდა საავტოცაციო ამოცანები, უფრო ფართე მნიშვნელობის ამოცანებთან—რომელი ხელოვნების შექმნის ამოცანასთან, რომელიც ობიექტიურად გამოჰხატავს ჩვენს რევოლუციის თავისი სამხატვრო იდეური ტენდენციებით. დიდი რევოლუციონური ხელოვნება სცილდება ყოველგვარი სახელმწიფოქმედების ფარგლებს.

ეს დარგები არ შეიცავენ მთლიანად მიტლს სამხატვრო ცხოვრებას და სახელმწიფო უნდა დაითანხმოს იმას, რომ ის ვერ შეიქრება ხელოვნების ყველა კულტურაში და არც უნდა ჰქნას ეს, ხელოვნება არის წმინდა საზოგადოებრივი, სახელმწიფოს გარეშე მოვლენა და ის უნდა განვითარდეს, როგორც ასეთი, ეს არ ნაშნავს, რასაკვირველია, რომ მხატვრული შემოქმედების სტიქიას შეუძლია განვითარდეს სრულიად სახელმწიფოს მეთვალყურეობის გარეშე. პირველ ყოვლისა, ყოველგვარი ხელოვნება, ამ სიტყვის ერთგვარი ღრმა მნიშვნელობით, საავტოცაციო არის და პროლეტარულ სახელმწიფო ასეუ რთულ პერიოდში, რომელსაც ჩვენ ვანვიცდით, არ შეუძლია დაუშვას კონტრ-რევოლუციონური ავტოცაცია და ისიც ასეთი მქრეოი იარაღის საშველებით, როგორიც არის მხატვრული ავტოცაცია.

აქედან ნათელია, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია აიღოს ხელი, რასაკვირველია, ფრთხილ, მაგრამ ფხიხელ ცნხუზაზე, რომელიც მოსკოვს ხელოვნების მძლავრ იარაღის რევოლუციონური მშენებლობისათვის საზოგადოებრივ გამოყენების შესაძლებლობას. მაგრამ გარდა დიდი გაყოფისა რევოლუციონურ და კონტრ-რევოლუციონურ ხელოვნებაზე, ჩვენ ხელოვნებაში გვაქვს აგრეთვე მთელი რიგი მიმართულებებისა. ამჟამად ეს მიმართულებები განსაკუთრებით მრავალია. სწარმოებს ინტენსიური ბრძოლა რევოლუციონურ ხელოვნებასა, — რომელიც თავის მხრივ დაყოფილად რამდენიმე ურთიერთ შორის მებძოლ ბანაკად, — და ასე ვსთქვათ, ეიტრალურ, ობიექტურ ხელოვნებას შორის, — ასე უწოდებს ყოველშემთხვევაში ის თავის თავს, — ე ისეთ ხელოვნებას შორის, რომელსაც არ აკრავს გარკვეული რევოლუციონური ელფერი. ბრძოლა სწამობს სრულიად სხვა რევოლუციისა და სხვა მემარ-ენეობის ხაზით. პოლიტკულმა რევოლუციონური ბუნებათუ სახელმწიფოს მოუწრო, ასე ვსთქვათ, შინაგანი კონფლიქტის მდგომარეობაში ერთი მხრით აკადემიკოსებსა, რეალისტებსა და იმპროვილიზატებსა და მეორე მხრით ნოვატორებს შორის, რომლებსაც ჩვეულებრივ ფრხილუმში იხსენიებენ, როგორც რეალისტებს. როგორ უნდა უყვარებდეს სახელმწიფო ამ ბრძოლას? პირდაპირ

და გარკვევით უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოს ამ ბრძოლაში უნდა ექროს რაც შეიძლება ნეიტრალური პოზიცია. არავითარ შემთხვევაში ამა თუ იმ კომისარის, საბჭოთა რესპუბლიკის ამა თუ იმ ხელმძღვანელი მოხელის პირადმა სიმპატიებმა არ უნდა გადაამახინჯოს ხელოვნებაში შოკოლბის, მიმართულებათა და ინდივიდუალობათა ბუნებრივი ზრდა და ბუნებრივი ბრძოლა. სახელმწიფოს შეუძლია, რასაკვირველია, ხელი შეუწყოს წმინდა საავტორიტაციო ხელოვნებას, დაეხმაროს პროლეტარულ წრეებს, დიქტატორ კლასის შემოქმედების ჯერ კიდევ სუსტ, მაგრამ დიდი მომავლის შემცველ ჩანასახებს. მაგრამ მან თავი უნდა შეიკავოს იმისაგან, რომ სახელმწიფო მზრუნველობის ზეგავლენით შეაჩვიოს ხელოვნები არაგულწრფელობას, ნაძალადეგ რევოლუციონერობას ანდა მხატვრული თვალსაზრისით მესამე ხარისხიდან, მაგრამ რევოლუციონერულად კათილსაიმედო ავტორების ცამდი აყვანას. ეს იქნებოდა არა პოლუსი, არამედ მიწისი ზრდის პროცესში მყოფ რევოლუციონერი ხელოვნებისათვის. არ შეიძლება თვალდების დახუჭვა და არ დანახვა „თანამგზავრების“ და „უგზოების“ ნიჭიერად დაწერილ ნაწარმოებთა უდიდესი მნიშვნელობისა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ აკლიათ (რაც ძლიერ სამწუხაროა ჩვენი თვალსაზრისით) პოლიტიკური თვითგამორკვევა. არ შეიძლება იქნას გამოცხადებული სახელწიფოდ არც რელიგია და არც ფუტურისმისი შოკოლა. არ შეიძლება პროლეტარიატის ნების გარეშე, რომელსაც ჯერ არ შეუძლია თავისი განაჩენის გამოტანა, გამოცხადება რევოლუციონერულად არც რომელიმე კოპში და ჯერ კიდევ ბუნდოვანი კონსტრუქციების, არც რელიგიაში, თუგინდ ხალხსურის, რომელიც ყოველმხრივ განხილვას მოითხოვს.

თუ ხელოვნების მძიმე მდგომარეობას შეუძლია აიძულოს სახელმწიფო მიიღოს რაიმე ზომები ხელოვნების დახმარების მხრივ, ყველაზე სწორი იქნებოდა ამ დახმარების განაწილება ნიჭიერების ხარისხის მიხედვით, რაც შეიძლება მეტად ნეიტრალური და კომპეტენტური ეიურის დადგენილების თანახმად.

რამდენიმე სხვა თვალსაზრისზე შეუძლია იხდეს პარტიას. ის, რაც სავესებით უხერხულია სახელმწიფოსათვის, პარტიისათვის ცოტათ თუ ბევრად მისაღებია. რასაკვირველია, ვასოცარი იქნებოდა, რომ შემთხვევითი პარტიულმა უმრავლესობამ ხელოვნების საკითხებში დამარკიცოს რაიმე პარტიული ორტოდოქსალური ხაზი ამ მხრივ აშკარაა, რომ ეს საკითხი ამჟამად რ. კ. პ. რიგებში სადისკუსიოდ უნდა იქნას აღიარებული. მაგრამ ამ დისკუსიის შესაძლოა მოყვას პარტიის უმრავლესობის, დიდი უმრავლესობის აზრის საბოლოოთ გამორკვევა ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, რომ შესაძლოა, პარტიული ურჩხილნი და ვახეთები, პარტიული კრიტიკა გამოკვლენ თავისი ტენდენციების დასაცავად, სასტიკ კრიტიკას გაუკეთებენ მათ, ვინც მათებარ არ აზროვნობს, გაატარებენ სრულიად გარკვეულ კულტურულ ხაზს.

პარტია ამ შემთხვევაში გავლენას მოახდენს თავისი ავტორიტეტით, თავისი ნიჭით, თავი-

სი კულტურით და, რასაკვირველია, ერთი წუთითაც არ უნდა მიმართოს სახელმწიფო ძალაუფლების დახმარებას.

კიდევ უფრო ნათელია, რომ თითველ ცალკე კომუნისტს, თუ გინდ მას სახელმწიფო თანამდებობა ექროს, უფლება აქვს, როგორც პიროვნებას, მხატვარს, კრიტიკოსს ან მაყურებელს, მთელის სიმკაცრით აიღოს ყოველგვარ მიმართულებათა მიმართ ის ხაზი, რომელსაც ის სწორად თვლის.

ყოველ იმ შემთხვევაში, როცა ჩნდება რაიმე მნიშვნელოვანი სახმატვრო ძალა, რომელიც შეხმატკნილებულია, შეთანხმებულია სახელმწიფოსთან, სახელმწიფო შეძლების დაგვარად უნდა დაეხმაროს მას. იმ შემთხვევებში, როცა სახელმწიფო დახმარებას უწყევს ამა თუ იმ რევოლუციონერ თეატრს სწორით მისი რევოლუციონერობისათვის, ამა თუ იმ პროლეტარულ გაერთიანებას (მაგ. პროლეტკულტს), სწორით მისი პროლეტარული ხასიათისათვის, მას, სახელმწიფოს, რასაკვირველია, ეძლევა უფლება იქონიოს თავისი აზრი, მიუთითოს ამა თუ იმ გზაზე, გააფრთხილოს ზოგიერთ შეცდომებისაგან. სათანადო უწყებას ან გაერთიანებას შეუძლია განთავისუფლდეს სახელმწიფოს ასეთი მზრუნველობისგან, თუ ის მისთვის არა სასიამოვნოა, სათანადო სუბსიდიანზე უარის თქმით. მაგრამ, რასაკვირველია, იმ შემთხვევებში, როცა სახელმწიფო დახმარებას უწყევს ასეთი ტიპის საერთო სახელმწიფო საზოგადოებრივ დასრულებებს, ანდა, როცა, როცა რომელიმე საბჭო სუბსიდიას აძლევს ამა თუ იმ თეატრს, კლუბს და სხვა და სხვა, ასეთი მითითების, რჩევა დარიგების მიცემის დროს უნდა იყოს რაც შეიძლება მეტად ფრთხილი, მას უნდა ახსოვდეს, რომ სახელმწიფოს ჩარევა მუდამ ტლანქია, მუდამ თვითნებურია, რომ ხალხიც, რომელიც სახელმწიფოს წარმოადგენს, შეიძლება შეცდეს და ამიტომ სათანადო რჩევა—დარიგებები უნდა მისცენ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ასეთი ჩარევა აშკარათ აუცილებელი ხდება.

ხელოვნების საზღვრებს გარეშე, მაგრამ ერთგვარად მასთან კავშირში როგორც მონათესავე დარგთან, იმყოფება ყოველგვარი კვაზი-ხელოვნება.—გართობის ყოველგვარი საშვალეობა, ყოველგვარი ხალტურული თეატრები, ხალტურული ესტრადები და სხვა. სამწუხაროთ, ნაკლებ კულტურულ ქვეყანაში, როგორც ჩვენ ვართ, ხშირათ ხელოვნების სამოსელში ვრცელდება სრულიად ანტი-მხატვრული, ასე ვსთქვათ მიკტურნი, სტიქია ის ფეხს იკიდებს დიდი ძალით სატახტო ქალაქების და უფრო მეტად პროვინციალურ თეატრებში, მიუხიკობლებში და განსაკუთრებით კინემატოგრაფში და მასთან საჭიროა ბრძოლა არა მარტო როგორც კონტრ-რევოლუციონერ მოვლენასთან. არ შეიძლება არ იქნას აღმოფხვრილი მისი ისეთი გამოხატულება, სადაც ის აღვიძებს და აძლიერებს მასსენის არაჯანსაღ გრძობებს და შეუძლია გახრწანს ჩვენთვის ესოდენ ძვირფასი ახალგაზრდობა. ამ მხრივ სახელმწიფომ ერთგვარი საზღვარი უნდა დაუდვას პაროგრაფიას, მაგრამ ამ შემთხვევაში სისწორით უნდა იქნას გამორჩეული მისგან ერთტკია ქეშმარიტ ხე-

ლოვნებაში. აგრეთვე ერთგვარი ზღუდე უნდა დაიდვას სულიერათ ჯანსაღ მასების დასაცავად განცხრომის ქადაგებისაგან და ყოველგვარი საშვალეობით შექმნილი ფუფუნებისაკენ მისწრაფებისაგან, ავანტიურისმის და სხვა ამგვარი საშიში სუროვატების ქება-დიდებაგან, რომლითაც ავსებენ. თავის კვაზი-ხელოვნებას ასეთი გასართობების მიმწოდებულნი.

ასეთია საერთოდ საბჭოთა სახელმწიფოს ამოცანები ხელოვნების სფეროში და ის მთავარი ხაზები, რომლითაც მან უნდა იხელმძღვანელოს.

მომავალში, იმის და მიხედვით, თუ რამდენათ გამაგრდება სახელმწიფო და შესძლებს მეტი ხალხის და თანხების გადასროლას ამ დარგში, მისი გავლენა გაღრმავდება და გაფართოვდება და შემდეგ, კომუნისმთან მიახლოვების მიხედვით, სახელმწიფოსთან ერთად საბოლოოთ გაქრება.

ა. ლუნაჩარსკი.



გზიდან

ჩემი გზა შორია—
 გრძელი
 და მძიმე.
 მე ისტორიის მთელი
 სიმძიმე—
 გადამაქვს ზურგით.
 არ უშინდები ფაფარაყრილ—
 ტალღათ მოედენი.
 ჩემი ხვედრია:
 ვიყო ამაყი:
 შევაგვარი—
 მტერთან თავხედი.
 მე შევარყევი სამყაროს ტანჯვა—
 ოფლიან მკერდით.
 ასეა ბედი.
 ო, აღარ არის შესვენება—
 და ტკიბილი ნანა.
 ჩემი დღეები:
 ჩქარი ხანძართი გადაიორუჯა.
 ჩემი სატრფოა:
 მახვილი მკრელი—
 და ხელში დანა.
 მე წინ ვისწრაფე—
 ჩემთვის ერთია:
 სიცხე და ჩრდილი.
 მე მე-მზობით დავიბადე—
 ქარხნის კედლებში.
 ვიცი წინასწარ: აღარ დამინდობს:
 ფუფუნება—
 ბრძოლისთვის აღზრდილს.
 საბედისწიერო ნგრევა და ქარში—
 არვის დაეინდობ.
 ო, მტარავლებო!
 გესმოდეთ ყველას:
 მე უნდა შექმნა ბებერ ქვეყნისთვის—
 სამგლოვიარო ახალი მარში!

პ. ოდიშელი.

● ● უოლტ უიტმანი და მისი შემოქმედება ● ●

ბ ი ზ გ ა ფ ი ა .

უ. უიტმანის შემოქმედება.

უოლტ უიტმანი დაიბადა 1819 წელს ლონგ აილენდზე ნიუ-იორკის და ანტლანტიის ოკეანის შუა. ის მეტად ღარიბი ოჯახის შვილი იყო. მამა მისი ღურგლობით ინახავდა მთელ ოჯახს. 13 წლის უიტმანი სტამბაში შედის სამუშაოდ. შემდეგ ამ მუშაობას თავს ანებებს. თავისით დაიწყებს სწავლას. 17 წლისა იგი ერთ-ერთ სახალხო სკოლის მასწავლებლად ინიშნება. მაგრამ უოლტ უიტმანის დაუდგებარი სული ვერ იცდის სკოლის ოთხ კედელს შორის და ეძებს უფრო თავის შემოქმედებისათვის ფრთებ გასაშლელ ნიადაგს. ანებებს თავს მასწავლებლობასაც, მაგრამ მძიმე ცხოვრების პირობები მას აიძულებს ისევ სტამბას მიაშუროს, აქ ის მუშაობს კორექტორად, ხან ასო-ამწყოზადაც და ასე რედაქტორობამდისაც კი მიდის. რამდენჯერმე უშუშევრადაც იყო. მისთვის სულ ერთი იყო რა საქმისათვისაც არ მოეხდა ხელი. ის არავითარ საქმეს არ თაკილობდა. მისთვის შრომა სათაკილო არ არსებობდა. ხშირად ჰქონდა მას ისეთი წლები, როცა დღიური შრომით ირჩენდა თავს. ბევრჯერ მას მშვირიც კი გაუტარებია მთელი დღეები. მაგრამ რაც მთავარი იყო მის ცხოვრებაში—ეს არის დაუდგებარი სული, რომელიც არავითარ სიძნელეს ქედს არ უხრიდა. ის ერთხელ ისეთ დიდ საქმესაც კი ჰკიდებს ხელს, როგორც არის პოლიტიკური ავტორიტობა მყველფელ კლასის წინააღმდეგ. ის სოფლიდან სოფელში გადადიოდა, ქალაქიდან ქალაქში და ასე მთელი ამერიკის შეერთებული შტატები ფეხით შემოიარა. უოლტ უიტმანი რაზეშიც ჩაეწერა მოხალისედ, და იპრძოდა მონობის წინააღმდეგ სამი წელიწადი.

ამ სულთ დაუდგებარმა ადამიანმა სამოცდათორმეტ წლამდე მიაღწია, და გარდაიცვალა ქალ. ნიუ-იორკში 1892 წელს. საინტერესოა აგრეთვე მისი დაკრძალვა. ანდერძი დაუტოვებია: ჩემს ცხედარს არ უნდა ვაყვეს არც ერთი ინტელიგენტი. შეკრებიეთ ნიუ-იორკის ყველა ავარები და მაწაწალები, რომ საფლავამდე მიმაცილონ, და ჩემი ფულითაც იქეფონო. უიტმანს ჰქონია რაღაც თანხა, თავის შრომით შენაძენი. პოეტის ანდრძიც იქნა ასრულებული. მართლაც მისი კუბო ნიუ-იორკის „ბოსიანკებმა“ მისავენეს სამარმდე. ამ გასვენებას თავისებური ხასიათი ჰქონდა. სამგლოვიარო პროცესიას მისცეს ქეიფის იერი. არის ასეთი ცნობაც, რომ კუბოს სახლიდან სასაფლაოზე მიტანამდე შიგ პროცესიაში მოხდა 52 კრივი.

ასეთია ამ ზღაპრულ ადამიანის ცხოვრება და მისი ბოლო, ის მთელი თავისი ცხოვრებით დემოკრატიას დასტრიალებდა და ამ დემოკრატიის სიძლიერე ყველაზე უფრო მხოფრად გადმოიღობოდა მეს შემოქმედებაში. მთელი ქვეყნის პროლეტარიეტი მას თავის გულში უღვამს ძიგლს უკმდევიზის, რომელიც მანსავეებით დაიშახურო თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით.

უოლტ უიტმანი იყო სტიქიონის პოეტი და მისი სახელი ჩრდილავს დღემდე. რევოლუციონურ ჰანგზე მომღერალ ყველა პოეტების სახელს.

მისი მძლავრი ქუბილი: „დაფო, დაჰკარი მაგრა“ კიდევ მრავალ საუკუნეებს შერჩება, როგორც მოუხრელი მანუშენტი. უიტმანი მომავლის წინამორბედი და ის ქუბიდან გასცქერის მიელ მთლიეროს. ის ქუბის მოგვია და მისი ქდავება მან ამ ქუბის ხმაურში ვადმოიტანა. მას უყვარს ქუბა, რადგან აქ შეიძლება მან აშხანავს უწოდოს: იმხანაგო! რადგან აქ არის პროლეტარიეტი, რომელიც იყვლიფება გაბატონებული კლასის მიერ.



უოლტ უიტმანი

მეცხრამეტე საუკუნის კაცობრიობის ისტორია ჩვენ ვერ წამოგვიყენებს უფრო მძლავრ პოეტს, რომელიც იყოს დაკავშირებული მთელი ცხოვრებით მაშვრალ დემოკრატიასთან. უოლტ უოლტმანი კი ამ საუკუნეში სდგას წელ მაგარი. თავის ცხოვრება მას წარმოდგენილი აქვს თავის შემოქმედებაში. ცხადია ასეთ დიდ სტიქიონს, რომელიც დასტრიალებდა ქუბას და დემოკრატიას—სუჯანდებოდა თბილად ნაზარდი „ხელთათმანებიანი“ პოეტები და მწერლები, რომლებიც ამპარტყენობით დასცქეროდნ ყველაფერს. აქედან ცხადია, უოლტ უიტმანს ამ ქუბის პოეტს და მეგობარს ვინ აღირსებდა დიდი პოეტის სახელს. პირიქით მას დასკინოდნენ. დასკინოდნენ იმისთვის, რომ მან პირველმა ქუბაში გამოიტანა „მომავალი დემოკრატიის“ მუფეობი და სიძლიერე, რომ ამ დემოკრატიის უფრო ადვილად გაეგო თავისი ზაჯი.

უოლტ უიტმანი უფრო მეტად მომავალს ეუფუნის ვიდრე დღევანდელ ღლს და დღევანდელ ცხოვრებას.

მის შემოქმედებაში სწარმოებს დემოკრატიის ამხედრება და შეტევა უკულმართ ცხოვრების პირობების და წესების მიმართ. ეს კი ხდება ქალაქის ერთ ნაწილში—ქუბაში. პირველად მან აქ გაიგონა სიტყვა აშხანაგო. ამ სიტყვას ქუბაში მილიონები ამბობენ და ქუბა მილიონ გულთა ამბეგრებელი დიდ ალტაცებას წარმოადგენს უიტმანისათვის. აქ იკარგება განსხვავება—ქუბა ნთქავს ერთეულებს, ჰქმნის კრებულებს, მასსას, სადაც ყველანი თანასწორი.

ამ მოტივით არის გაუღენთილი უოლტ უიტმანის მთელი შემოქმედება. ის კი არ სწერს, არამედ ორატორივით ტრიბუნდანი მოუწოდებს მასებს გამოღვიძებისათვის, რომ გაიგონ თავისი თავი და შეებრძოლან უკულმართულ წესებს ცხოვრებისას, რომელსაც ჰქმნის შეშლებული კლასი. აი როგორ უცქერის ის შემოქმედებას და კერძოთ პოეზიას: „ხალხთა მასების გამოღვიძება და საზოგადოებრივი ღობების დანგრევა—ბრძოლაში იწვევს პოეზიას და მე შეუგრძნობლად მივიღე იგი. ძირს ძველი თემები, არავითარი სამკაული, არავითარი დახლართული, სატრფიალო შინაარსი, არავითარი სავანგებო გმირები, არც ლეგენდები, არც ლექსები, არც კეთილხმოვნება და არც რითმა“—ო.

მას ყველაფერი დემოკრატიისათვის უნდა, რადგან იგი მისი სიყვარულით დასწულლებულია. რა საკითხსაც არ უნდა მიუღდეს უიტმანი ის მიანიც ხალხის გულში იცქირება და აქედან აკეთებს დასკენებს. მას არ სწამს პარნასი, რადგან პარნასზე ღმერთები დახოკილია, და მისი ადვილი დაიჭირეს თავისუფლებამა და თანასწორობამ.

ბევრებს ჰკონიათ, რომ უოლტ უიტმანის ლექსებს აკლიათ ღირკია, დარბილება და რაც მთავარია—სილამაზე. მაგრამ მის შემოქმედების დავსების დროს არ გამოვავადება ძველი „ესთეტიკის“ საკითხისადმი მიღვამი. მართალია უიტმანის ლექსები არ არის ისეთი სილამაზის მატარებელი, რომლითაც იყო დღევანდლამდე დატვირთული ხელოვნება. მაგრამ სამავიეროდ მის შემოქმედებაში უნდა შეინახოს სილამაზე და სიძლიერე, რომელსაც აქვს თავისი განსაკუთრებული გემო. რა უყოთ თუ ხელოვნების ზოგ აესთეტიკეს: არ მოსწონს ქუბის და ქარხნის მურით დამძიმებული შემოქმედება. მაგრამ სამავიეროდ მისი შემოქმედება მოსწონთ იმათ, ვინც ქუბასთან და ქარხანასთან არის დაკავშირებული განუწყურად.

უოლტ უიტმანი ჩანგზე არ მღერის. ჩვენ როგორც დავინახეთ ეს ჩანგი და პარნასი მან უარჰყო. ის მღერის მხოლოდ საყვირის ხმაზე, საყვირი უფრო თანადროულია მისთვის, ქარხნების საყვირზეა სიძლიერე დემოკრატიის და მზიბლობა უოლტ უიტმანის შემოქმედების.

უოლტ უიტმანი შერჩება პოეზიას კიდევ მრავალი საუკუნეების განწავლობაში. მისი შემოქმედება არ მოკვდება, რადგან ის უფრო მომავალში ცხოვრობს ვინც ადვანს აწმუშო.

თბილისი

უოლტ უიტმანის რჩეული ლექსები

დაეძაქნა! შენთვის, სულ შენთვის!

აქეთ, მე შეგქმნი ლამაზ ხმელეთს განუყოფელსა,
 შეგქმნი მე ხალხსა ყველაზე ბრწყინავს,
 ვისზედაც სხივი შუქურა მზის მოუფენია.
 შეგქმნი მე ქვეყნებს ისე საოცრებს ვით ანდამატი,
 ამხანაგების სიყვარულით,
 სიოცხლისა და დღეგრძელობისთვის,
 ამხანაგების სიყვარულისთვის.
 და გავაშენებ მეგობრობას ხზირს, ლამაზს, მტკიცეს,
 ვით ამერიკის მდინართ პირზე ჭალა რომ მისდევს,
 და ჩვენს დიდ ტბათა კლდე—ნაპირებზე,
 ან თვალ უშვდენელ ხრიოვ ველებზე მე გავაშენებ
 მარად განუწყრელ დიდრონ ქალაქებს,
 რომელთ ხელებიც მოებევიან
 ყოველი მუშის ძარღვიან ყელსა,
 ამხანაგური, გუჯაკური წრფელ სიყვარულით.
 და მხოლოდ შენთვის დემოკრატიავ,
 შენს სამსახურად მეუღლევ ჩემო,
 მხოლოდ შენთვის მაქვს ეს წკრიალა ჩემი სიმღერა.



დაეძაქნა! შენთვის!

დაფო, დაჰკარი მაგრა! საყვირებო იყვირეთ, იყვირეთ!
 კარ-ფანჯარებში შეიქვრით დაუზოგველად,—
 ეკლესიაში წირვის დროს—დეე. ყველანი წავიდენ ეკლესიიდან,
 სასწავლებელში, ყრმა რომ სწავლობს, მკეჭარე ხმით შეიქვრით,
 სასიძის ნუ მისცემთ მოსვენებას, საპატარძლოსთან ყოფნის დრო არ არი,
 ააშფოთეთ მშვიდობიანი მთისეგლი, რომელიც ხნავს და მკის,
 იგრიალეთ მძლავრად დაფებო, დასკვიქეთ ხმა მალდა,
 დაუდგრომელად იყვირეთ საყვირო, იხმაურე ბუკო მომწოდებელი!

დაფო, დაჰკარი მაგრა! საყვირებო იყვირეთ, იყვირეთ!
 ქალაქთა ამოებაზე, ქუჩის ხმაურზე და გრიალზე.
 მძინარეთათვის მზად არის საწოლი,
 რომ ამ ღამეს სახლში დაიძინონ?
 არ არის საჭირო, რომ მძინარებმა დღეს დაიძინონ თავის ლოგინში.
 ვატრები ვატრობენ? არ არის საჭირო მოვაჭრენი არ გვჭირდებიან,
 ორატორი არ გაჩუმებულა? და მომღერალი ისევ იმღერებს?..
 ნუ თუ გეჭილი მოსამართლეთ წინ დაიკავს საქმეს?
 მაშ ჩქარა დაჰკათ მძლავრო დაფებო, განიფანტენით მქუხარე ხმებად,
 დაუდგრომელად საყვირო იყვირეთ,—იხმაურე ბუკო მომწოდებელი!

დაფო, დაჰკარი მაგრა! საყვირო, იყვირეთ, იყვირეთ!
 ბევრი ყბედობა არ არის საჭირო, აზრის შეცვლასაც თავი ანებეთ,
 ნიუიანის იფიქრებთ მხდაღებზე, და ცრემლზეც არავინ იფიქროს,
 შორს ფიქრები მოხუცის შესახებ ყრმას რომ ევდღრებნ,
 შესწყდეს ბავშვის ხმა, დედის ძახილი აღარ ისმოდეს,
 შეძრწუნდნენ ცხედრები, დამარხვას რომ მოეღიან.
 დაფებო, მაგარი დაკვრით ახარეთ საშინელი ამბავი,
 კვირლით იყვირეთ საყვირებო, იხმაურე ბუკო მომწოდებელი!


„მფრინავი“ ლისტ-სალამოები

30 მარტს საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირმა ერთ-ერთ სტამბაში მოაწყო მფრინავი ლიტერატურული საღამო. მუშაობის დასრულების შემდეგ სტამბაში მუშებისათვის სრულიად მოულოდნელად შემოვიდა პროლეტ. მწერლები: ერთი მათგანი სიტყვას ამბობს საზოგადოთ პოეზიისა და კერძოთ კი პროლეტარული პოეზიის შესახებ. დანარჩენები კითხულობენ თავიანთი ლექსებს, რომლებიც გაელენთილი იყო პროლეტარული სულისკვეთებით, პროლეტარული ნებით, პროლეტარული ოპტიმიზმით, მუშებზე ამ გამოსვლამ არაჩვეულებრივი კარგი შთაბეჭდილება დასტოვა: სხვათაგანად არც უნდა ყოფილიყო. ერთი მარქსისტი—მწერალი ამბობს, რომ პროლეტარული პოეზიის ცოცხალი წყარო ის კედლის გახეთქება, რომლებიც გაკრულია ქარხნებში და რომელიც საესეა უსახელო ავტორების შემოქმედებით. დაახლოებით ამავე აზრს იზიარებს **ამხ. ლ. ტროცკიც**. ქარხანა—არსებითი მატერია თანამედროვე პოეზიის. ყოველ ლიტერატურულ შრომას ქარხნის მოტივები ახასიათებს: ქალაქის გარეშე ფუტურისმის წარმოდგენა შეუძლებელია; ქალაქით სუნთქვას აგრძელებს კაპიტალისტური მიმართულება, სიმბოლიზმიც თავის შემოქმედებას ქალაქიდან იწყებს, და ბოლოს... ქალაქი—ეს სული და გულია პროლეტარული პოეზიის, პროლეტარული შემოქმედების. ამ რიგად სულ სხვა და სხვა ლიტერატურული სკოლები შეიქმნენ და ჩამოყალიბდნენ ერთსა და იმავე ნიადაგზე. მიუხედავად ამისა შათ შორის პრინციპიალი წყვეტია: სულ სხვა პროლეტარულ პოეზიაში ქალაქი და სულ სხვა ის სიმბოლისტების შემოქმედებაში, ან და ექსპრესიონისტების პოეზიაში. ქალაქის განკდა პროლეტ. პოეზიაში არის ოპტიმიზტიკური. პროლეტარული პოეზია ინტუიციით სწავრებს ქალაქს, როგორც პიონერს ახალი ცხოვრების შექმნისას; ქალაქი მოსპობს ქალაქს, ე. ი. თანამედროვე კაპიტალისტურ ქალაქს. პროლეტ. პოეზიის ეს ოპტიმიზმი ისტორიულად გამართლებულია და ამდენადაც ქალაქის სიძლიერის ესთეტიურ განცდას აქვს განუზომელი რიგო-ლუციონური მიმართულებით აღმზრდელი მნიშვნელობა. მაგრამ პროლეტარული პოეზია მაშინ ასახავს სწორად ქარხნის შინაგან ძლიერებას თუ ის შეითვისებს ქარხანას, თუ ის გაიგებს ქარხნის სულისკვეთებას, თუ ის განუყოფლად დაუკავშირდება ქარხნის ცხოვრებას: პროლეტარული პოეზია აქვე იპოვის შესაფერ სტილს და მით მხატვრულ ფორმებში ჩამოსხმას თავის შემოქმედებას: ქარხანა ჰქმნის სტილსა და მხატვრულ ფორმებს პოეტური შემოქმედებისათვის. მხოლოდ მაშინ გაამართლებს პროლეტარულ მწერლობა თავის თავს. ამ მხრივ საქ. პროლეტ. მწერალთა კავშირის მოწყობილი „მფრინავი“ ლიტერატურული საღამო დადებით მოვლენათ უნდა ჩაითვალოს: დაახლოვება პროლეტ. მწერლების და მუშების საარსებო მოთხოვნა პროლეტ. შემოქმედების. ამ დაახლოვებაში პროლეტარიატი შეიყვარებს პოეზიას და პოეზია კი პროლეტარიატს. პირველი ნაბიჯი ამ მხრივ გადასდგეს ჩვენმა პროლეტ. მწერლებმა. საჭიროა პირველ მეროც მოპოვეს და საზოგადოთ „მფრინავ საღამოებს“ მიეცეს სისტემატორი ხასიათი. ამასთანავე აუცილებელია მფრინავი საღამოების უფრო მხატვრული გაზდიდრება, რომ მუშებმა მართლად მიიღონ ესთეტიური კმაყოფილება.





ემილ ვერჰარნი



ვინ იყო ემილ ვერჰარნი? იგი იყო ბელგიელი პოეტი, რომლის ტრადიციულ სიკვდილმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია განათლებულ კაცობრიობაში.

იგი საქვეყნო ცნობილი პოეტია და მისი ზოგადი გაცნობა უსათუოდ საინტერესო უნდა იყოს ქართველი მუშებისათვის. ემილ ვერჰარნი დაიბადა სენ-ამანში—1855 წელს, 21 მაისს. მისი მამა იყო შეძლებული აკი. მას ქონდა საკუთარი ქონება და მისი შემოსავლით ირჩენდა თავს. თოთხმეტი წლის ვერჰარნი, სასწავლებლათ მიიბარეს იეზუიტების კოლეჯში. ამ დროს კოლეჯში სწავლობდნენ, აგრეთვე საქვეყნო ცნობილი ხელოვანნი: მორის მეტერლინიკი, როდენბახი და ლერბერგი.

კოლეჯში—სწავლისას, ემილ ვერჰარნი გაიტაცა, ლამარტინის, ჰიუგოს და სხვათა რომანტიზმმა.

სულიერ მამებს ეს ძლიერ არ მოსწონდათ. ისინი ყოველ ფეხის-ნაბიჯზე სასტიკათ დევნიდნენ რომანტიზმის კორიფებს. ამ გარემოებაში, დიდი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა ვერჰარნიზე. მალე სასწავლებელსაც ასრულებს და განიზრახავს ლუვენის უნივერსიტეტში—იურიდიულ ფაკულტეტზე შესვლას. განზრახვა სისრულეში მოჰყავს. 1881 წ. ლუვენში არსდება, ატივისტების საწინააღმდეგო ჟურნალი „ქრისტეს გულსათვის“. ამ ჟურნალში ვერჰარნი მონაწილეობას ღებულობს. ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, ვერჰარნი—ვექილობასაც თავს ასებებს და ლიტერატურული მუშაობას ხელს კიდევს. 1883 წელს, გამოდის ვერჰარნის ნაწარმოებთა პირველი კრებული, რომელიც სახელათ ატარებს: „ფლამანდიები“-ს, სახელწოდებას. მაშინდელი პოეტები და საზოგადოება, ამ წიგნის გამოსვლამ ძლიერ შეაშფოთა. აღნიშნულ კრებულში ვერჰარნმა გამოიყვანა; ძროხები, მორღუტუნე ღორები, გაბერილი ფაშა და სხვა. ამის გამო ყველანი ზიზღით და ანტიპატიით უუქმოდნენ ამ „ნების რაფაელს“.


ერთობ ვერჰარნი დიდი ხანი არ შერჩენია ნატურალიზმს. 1886—წლიდან, მის შემოქმედება იღვწის მისტიციზმით და რელიგიურ ასკეტიზმის იდეებით.

მალე ვერჰარნი განიცდის სულიერი კრიზისის და 1887—88 წლების განმავლობაში,

ვერჰარნი თავს დასტრიალებს საკუთარ პიროვნებას და პირადული ტანჯვაში ეძიებს განსვენებას.

მაგრამ, 1893—წლიდან ვერჰარნი განიცდის სულიერ გარდატეხას. მან ზურგი შეაქცია მისტიციზმს და სავსებით გადაეშვა, ცხოვრების ბრძოლაში.

ამ წელს გამოდის მისი: „გაგიჟებული მინდვრები“. 1895 წელს, ვერჰარნი გამოუშვა: „ბრტყალეზიანი ქალაქი“. 1896 წელს გამოდის მისი „გამქრალი სოფლები“. ხოლო



ემილ ვერჰარნი

1898 წელს, გამოდის კრებული: „განთიადზე“. ამ ნაწარმოებებით ვერჰარნი შექმნა, მთელი ახალი ეპოქა, მსოფლიო ლიტერატურაში. ამ პერიოდისგან გახდა იგი მსოფლიო პოეტი და მისი სახელი გახდა ისე სათაყვანებელი, როგორც შექსპირის, გოეთეს, დანტეს და სხვების.

ამის შემდეგ ვერჰარნი სწერდა დრამებს, ლექსებს და სხვა. 1914 წლის იმპერიალისტური ომის დროს ემილ ვერჰარნი, მონაწილეობას ღებულობდა თავის სამშობლო—ბელგიის თვითდაცვის ბრძოლაში. ამავე წელს, იგი მატარებელს ქვეშ მოექცა და გარდაიცვალა.

გ—რი.

ემილ ვერჰარნი, როგორც მწერალი

რას გვინახავს ემილ ვერჰარნი თავის შემოქმედებაში? აი პირველი საკითხი, რომლის პასუხით, შეიძლება ემილ ვერჰარნის შემოქმედების გაგება. უპირველესათ უნდა აღინიშნოს, რომ ემილ ვერჰარნი 1883 წლის შემდეგ, საესტეტიკო უარყო ნატურალიზმი. ამ წლის შემდეგ იგი, საგნების უბრალო აღწერა არ ყოფილა. მან თავისი მძლავრი ინტუიციით უშეჭრა თვით სავანში“ და ცხოვრების ზედაპირის წარმავალი სახეებში, მან აძოკითხა—გარდუვლა და მარადიული იდეალები. ამ ფელსაზრისით მიუღდა ემილ ვერჰარნი, 1883 წლიდან, თავისი თანამედროვეებს და მისი ასახეით, მან ძმლე ფორმებში ჩამოასხა ყოვე-

ლივე ის, რაც ცხოვრებაში დაინახა და განსწერა.

მისი თანამედროვე ბელგია—კაპიტალიზმის განვითარებით ხასიათდება: „გაგიჟებული მინდვრები“ ემილ ვერჰარნი დაგვიჩვენებს: რომ კაპიტალიზმის განვითარებამ, გაძარცვა სოფელი, როგორც ხალხით ისე ყოველგვარი ხელი მასალით. მან გრძნობიერათ და განცდილთ ახას დაქტი, რომ კაპიტალიზმის განვითარებით თუ როგორ ჩაყლაპა ქალაქმა ამ „ყვეთელ ეშმაკმა“, სოფლები. და ერთდროს სიცოცხლით აყვავებული სოფლები თუ როგორ მოღონდა და გამოყრუვდა, აღნიშნულ გარემოების გამო.

„ბანკირში“—ნათლათ გამოხატულია კაპიტალიზმის ტიპი. „ის თავის მავრდასთან ზის. მაგრამ მისი აზრი მთელი ქვეყნის გარშემო ტრიალებს... თვალწინ ელანდება უდაბნოებში, მის მიერ გაყვანილი რკინის გზები, სადგურები, მთელი ევროპა მისი კანტორებით არის მოფენილი. ნ შუთის აღრვენები მიი გასამდიდრებლად გადმოსჩქეფენ. მისი ძლიერების წინაშე თრთიან ძლიერნი ამა ქვეყნისა.“

მას თავყანს ცემენ: სამეფო ტახტები, მდიდარი და ღარიბი. ერთი სიტყვით: კაპიტალიზმის განვითარებამ გამოიწვია რა ქალაქების ამ „ყვეთელი ეშმაკების“—გაუმორკობა, მან სავსებით იმსხვერპლა სოფლები და მისი გამარცხით იგი ხელს უწყობს კაპიტალიზმის განდიდობას, მისი ძლიერების მთელი ქვეყნის ზურგზე გავრცელებას. ქალაქი—იღუპება და სხვასაც ლუპავს“. იგი: „იზრწნება და სხვასაც ხრწნის“. ეს გარემოება მკაფიოთ გამოასხა ევერჰარნი თავის პოემაში: „ქალი, გზა ჯვარედინზე“. აქ გამოყვანილია, ქალის ტიპი, რომელიც მსხვერპლათ შეუწირავს ქალაქს. ქალს—ქალაქში—დაუქარავს სინდისი, თავის ნაბუსი და ადამიანობა. ქალაქი—მას ტანჯვით მოველინება. ამიტომ იგი ვაწარებული და განაწამები მოელის „იმას, ვისაც მისი ალერსი და მოხვევა უნდა“. იგი თითქოს ვნება გაგიჟებული მოელის „მას“—რათა იგი გულიში ჩიკრას.რათა ამით თვითონაც დაიღუპოს და სხვაც დაღუპოს“. ქალაქი—ტანჯიანია: იგი გილიოტინასა—მუდმივი, მის წამების ეშაფოტებ—ისოცებთან: მილიონი სულლები. ამიტომ ადამიანობამ უნდა დაანგრიოს იგი. მაგრამ გენიალობა ვერჰარნის სწორეთ იმაში გამოიხატება, რომ მან ცხადათ დაინახა ეს „დამგრევი“—ძალა.

ქალაქი—მისი გავებით არ არის, მხოლოდ ტანჯვა და საზინღება, მასში იზრდება ახალი ძალა, რომელსაც მისი დაუსახავს კაპიტალიზმის გაბედნიერება და ჩავჯრის მოსპობა. მან შეიყვარა ეს ძალა და მისი მომავალი, შეუღარებლათ განსახა თავისი „აჯანყებანი“.

აჯანყებიდან—ვერჰარნი დაგვიჩვენებს: „რამგრევი“—ძალის—პროლეტარიატის დიდი მომავალი, მას სწამს რომ პროლეტარიატი დაანგრეოს იმ ურთიერთობას, რომელიც გაბატონებულია კაპიტალიზმის სოზოადობაში და რომელიც არის მოთავარი მიზეზი უმარგულსობის ჩავჯრის და მონიის. იგი სწერს: „ამ ქალაქებში, სადაც წამდაღუპენ ინთება თვალისწარმტატი ცეცხლი, სადაც აბრტყელი და აცრემლებული ბრბო, ერთი ქუჩიდან მეორეს ასკდება; აი ამ ქალაქებში, რომელთაც ასე არეყვს მოულოდნელი სისხლიანი აჯანყებები და ღამის საზინღებანი აი, აქ არის რომ ჩემი სული და გული ცეცხლით ინთება, თრთის და ლელავს, ფართოვდება და იზრდება“-ო. ამ სიტყვებში მოცემულია, თითქმის მთელი ვერჰარნის შემოქმედების შინაარსი. იგი მებრძოლია. მას სწამს, რომ მხოლოდ მედგარი ბრძოლით გაიმარჯვებს პროლეტარიატი—ბურჟუაზიაზე.

ეს იდეა საკმაო სიცხადით აქვს განსახიერებული, ვერჰარნი თავის დრამა—„განთიადეში“ პიესის შინაარსს მოკლეთ ასეთია: ქალაქი ოპილიმანი, რომელიც სხვა ქალაქების ჩაყლაპვას ღამობდა... მტრის მიერ ალყა შემორტყმულია. მთავრობა ომის სამხადის შიდა, მაგრამ დახეი. მუშეობი გაფიცულანი! ომში არ მიღიან, რადგან მათ სწამთ, რომ ისინი უნდა დაიხსონ იმისთვის, რომ ამას მოთხზეს კაპიტალიზმის ინტერესები. მუშეებმა დრო იხურეთეს. ახლა სურთ სამოქალაქო ომის დაწყება და კაპიტალიზმის ბატონობის დაშობა.

მოაგრობამ ეს გაიგო. ხალხის მეთაური ერენიანს, მინისტრის პორტფელს პირდება მთავრობა. მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხმა მოვიდეს საომართ ერენიანი თანხმდება ამას. ხალხი მიყავს ბრძოლის ველზე, მაგრამ ყოველთვის ეს მახ მოიმოქმედა განსაზღვრული მიზნით. მან მტრის ბანაკში, ავტაცია მოაწყო და ქალაქის კარების გაღების, დროს ხდება არა ომი, არამედ მათი „დაძმობილება“. ამით ერენიანმა შექმნა პირობა, სამოქალაქო ომის „ხალხთა მოედანზე“—ერენიანი—პროვოკატორის ხელით კვდება. მაგრამ მის გეგმზე, ათა-

მაშებენ მის პატარა შვილს, მომავლის სიმბოლოს.

აქედან ცხადია, რომ ვერპარნი, რომელიც მხატვრული სიტყვით წინასწარმეტყველებდა პროლეტარიატის განმანათლებელ ბოძოლს, მარად იქნება ძვირფასი და დაუვიწყარი მებრძოლი პროლეტარიატისათვის. მან პირველმა აღიმაღლა ხმა—მხატვრული სიტყვით—ბურჟუაზიის წინააღმდეგ და აშკარათ გამოხატა, პროლეტარიატის დიდი მომავალი, რომელსაც ავი თანაპეროვეობაში ამართლებს ასეთია ვერპარნის შემოქმედება.

გ—რი.

ა ღ ს რ უ ლ ე ბ ა

შავს ეშაფოტზე, როს ზარები აგუგუნდებდა
შენ თავს აღმართავ და დაგვხედავ მაღლიდან მიძიმეთ,
ივლებს დანა, შეჰყვირებენ წითლად კუნთები!—
და ეს იქნება ფოლადის და სისხლის ნადიმი.

—*—

მზეს მეწამულსა და დაისის ცეცხლს დასაფლავითი
(შავს კარბუნქულებს რომ ჰფანტავენ უხვ ბრწყინვალეობით)
შეატყობინებს ძირს დახრილი თავისაკეთი,
რომ უკვე ჩაქრა შენი მზერა, შენი თვალები.

—*—

გველური ცოცხით ბოროტება ბრბოს ტვინში შევა,
ხოლო ვნებათა მრისხანე ზღვის დაცხრომის ჟამსა
ხალხი, შენს კუმბს, როგორც დედა დაუწყებს რწევას
და ნანას ეტყვის უთავოს და სისხლიანს გვამსა.

—*—

და შხამიანი, ვით ყვავილი ნაწყვედიადარი,
სად ელვააყვით მოწითალო შხამი მწიფდება,
უძრავი, როგორც გარქობილი მეკრძში ლახვარი,
შენზე ბრბოს გულში მოგონება გახელმწიფდება.

—*—

შავს ეშაფოტზე, როს ზარები აგუგუნდებდა
შენს თავს აღმართავ და დაგვხედავ მაღლიდან მიძიმეთ,
ივლებს დანა, შეჰყვირებენ წითლად კუნთები!
და ეს იქნება ფოლადის და სისხლის ნადიმი.

ემილ ვერპარნი.

ლ ო ნ დ ო ნ ი

ჩემო ოცნებაე! ლონდონია იგი რკინისა,
სად ჩაქუჩის ქვეშ მოხნეკილი კენისის ლითონი,
და ხომალდები მიმოდიან უეარსკვლავო ვზით,
რომ გადალახონ ოკეანე უცნობ ქვეყნისთვის.

და საღვურების შავი კვამლი, სადაც ციმციმებს
ვერცხლისფერ ცეცხლით სევდიანი გვიანი ვაზი.
სადაც მოწყენის ქიმერები ბლავიან ღროზე,
თვით ვესტმინსტერის ძველ საათის უღმობელ ხმაზე.

სანაოების და ფარნების რივი ფხიზელი,
თითისტარების დიდი პარკი მდინარის გვერდით,
და განათებულ გუბებში გამოჩნდებიან
თითქოს დამხრჩვალნი—მატროსების ორეულები.

ლოთების ხმობა და მისთვის უცხო ჩვენება.
დუქნის წარწერა—საშინელი, როგორც ილბალი.
და უცაბედათ, ვით სტუმარი ბრბოში სიკვდილი.
ჩემო ოცნებაე! ეს ლონდონი შენ გესწრავება!

ემილ ვერპარნი.

გ ა ნ ს დ ო ა ტ უ ხ ი ლ უ ზ ი

გარეთ ცივა. ბნელა გარეთ.
ზამთრის ქარი სტორის მწრეთ.
ჩემს გულში კი ისე თბილა,
რომ ყვაილიც კი გაშლილა
ტროფობისა და სილამაზს!
და ყველაფერს ფერი აზის,
სამაიო მწვანე ფერი:
ხარობს, ლხინობს ყველაფერი:
ვარდი ჰკოცნის გულისაბას,
პატარძალი იცვამს კაბას,
ფერად კაბას, ჯვარისაწერს,
და ღღეს ის რომ ხელს მოაწერს
დასაწყისის პირველს აქტივს,
გარეგნულად სადას, მარტივს,
ნამდვილათ კი ისე რთულსა,
ისე ჩაკენილ-ჩახლართულსა,
როგორც კენაძი გორდღუშის,
ვით ძაფი ჩველი აბრეშუშის,—
იგი მაშინ იგრძნობს მხოლოდ,
რომ კაცის ბედს უთავბოლოდ
ხლართავს ვიღაც, უჩინარი,
თუნდაც აი ზამთრის ქარი,
ისე მკაცრი, ისე ცივი,
მაშინ, როცა გულში სხივი
სამაისო დაციალებს,
ესთქვათ, ის გარეთ რათ ღრიალებს?!
მაგრამ ქარმა კარგათ იცის,
რომ აქ სიტყვა წმინდა ფიცის,
წერილი, თუ პირად თქმული,
მარგალიტის სხვიანხმული,
მოკიაფე, მოკიალე,
ფერს გაჯკრთობს მაინც მალე...
და ეგ სიტყვა დარღვეული,
ეს საბუთი, ეს რვეული,
აქ ეგდება ფერად მუჭი,
როგორც ყალბი თამასუქი!
და მაშინ აქ, ამ ტაძარში
ისე, როგორც ზამთრის ქარში,
თავს წინოჰყოფს იანვარი!
და ეს გული გადამწვარი,
ზამთრის სუსხით დანათოში,
ვით ნაცრეცი ძველი ქოში,
ვერ განიცდის გრძნობით მაისს!
და ვინ იცის, იქნებ გაისს
თვალი მისი ვერც კი ნახავს,
რადგან ბედი ისე სჩმახავს:
რასაც ჩვენ ვსწერთ თუნდაც ვიცით,
ბუქლის დასმით და სიმტკიცით,—
ხედავ მას იგი სტებს და ჰზარავს,
და ჟამთა სელის მტვერით ჰჰვარავს!..

ნ. ზომლეთელი.



კინო და მისი პერსპექტივები ჩვენში

მგონი ბუხარინმა სთქვა: „საბჭოთა ხელისუფლება არის.. პლიუს ელექტროფიკაცია მურწინობაში და პლიუს კინო მასების—იდეოლოგიურ განათლებაში“.

ამ სიტყვებიდან ნათლად სჩანს კინოს მნიშვნელობა. ომამდე რუსეთის კინემატოგრაფია არ ჩამოუვარდებოდა ევროპისას, ხოლო ომის შემდეგ ის დაქვეითდა და რევოლუციის შემდეგ კი სრულიად დაეცა. ამ დროს კინემატოგრაფიაში კოლოსალური შედეგებს მიაღწია ამერიკამ და წინ გაუსწრო ევროპას, მაგრამ, ამ ქამად გერმანიის კინემატოგრაფია არ ჩამოუვარდებია ამერიკის კინემატოგრაფიას და თავის ფილმებით, რომლებიც აქამოფილმებენ საზოგადოების ყველა წრეებს, თითქმის წინ უსწრებს. ასეთი მიღწევა ამ ქვეყნებში არც გასაკვირია, რადგან კინემატოგრაფიაზე იქ ისარჯება კაპიტალის სახლპრო თანხა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კიდევ უფრო „ნების“ კინო მრეწველობის განახლებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. ენერგიული მუშაობა, რომელიც არის ამ სფეროში და რომელზეც მოგეცა რამდენიმე პროღიტარული ფილმები, იძლევა იმედს, რომ რუსეთის კინემატოგრაფია ახლო მომავალში დაიწვევა ევროპისას. რუსეთის სურათებს ყოველთვის დიდი ნოთხონილება ჰქონდა უცხოეთის ბაზარზე. რუსული საშუალო ფილმის მონოპოლია განსახლებულ რაიონზე, კინო კანტორებს ოქროს მილიონებს აძლევდა. მისი გამოსვლა ახალი სულით და იდეებით დიდ გამარჯვებას მიაჟუთებს მას.

გინ იფიქრებდა, რომ კინო, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, გახდებოდა ხელოვნების პიონერი. პირველ ხანებში კინოს ხელოვნებას არ უშოივდებდნენ. მართლაც, პირველად მას ხელი მოჰკიდეს მხოლოდ სპეკულიაციისათვის და ისიც ისეთებმა, რომლებსათვის ხელოვნება უცხო იყო. მაგრამ შემდეგი მისი განვითარებით, როცა მის მხარეზე გადავიდნენ საუკეთესო რეჟისორები, აქტიორები და მწერლები—კინო-მეტოგრაფიაში დაიპყრო საზოგადოება და მით მისი, როგორც ხელოვნების—ლირებულება შედარებით გაიზარდა.

თანამედროვე თეატრი, თანამედროვე კინოს უძლური მეტოქე თავის საზრდოს ნაწილს კინოდან ღებულობს (ამის ნიშნებია რუსეთში პროღიტარული თეატრი) კატასტროფიულ კრიზისში გადაიხეილა, იგი ცდილობს კინოს დახმარებით თავის არსებობის და ძლიერების შენარჩუნებას. ხდება მისი კინემატოგრაფიზაცია და ამით კაპიტალისტთა კინოს წინაშე. ეს ასეც უნდა მოხდეს.

ყოველდღე ხელოვნება, თუ ის ცხოვრებას არ მისდევს პარალელურად და თუ მას არ ძალუშნ თანამედროვეობის დაძლევა და მოთაყვება თავის რაობაში—გაირიყება. ცხოვრებას ღღეს ახასიათებს სისწრაფე და თეატრი კი უძლურია ცხოვრების გვაგანტიორ ნაბიჯებს მეტოქეობა გაუწიოს.

ღღეს ცხოვრება რთულია. მასში ყველაფერი ა მონაწილეობას ღებულობს. ყველა არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთად ოქმედებენ.

ჩვენი ეპოქა არის ეპოქა კოლექტივიზმის, მაშინაზმის, მსოფლიო წარმოადგენს ერთ ვებერთელე მანქანას, რომლის ერთი კბილანის დაზიანება აფერხებს მანქანის ნორმალურ მოძრაობას და ხშირად უმოქმედობასაც იწვევს.

ღღეს რკინა მეტყველებს.. ადამიანმა ყველაფერი დაიპყრო... ჩასწვდა ოკეანის სიღრმეს და ეთერის სივრცეც დაიმორჩილა.

და სწორედ, ხელოვნებაც უნდა იტყვევდეს ამ უნივერსალობას და მხოლოდ მაშინ იქნება ის გამარჯვებული. კინო ბუნების სამივე საწეფოს წიაღში განავარდებული ითვისებს ყველა მოვლენებს და იძლევა მათ რეალურ სახეს.

ქალაქები, სადაც მისთვის აგებულია გრანდიოზული სასახლები, და უდაბნოს ყრუ ადგილები მისი სამონოპოლიო ახალშენებია. ის მეტეორივით მიოვლენა მსოფლიოს და მის ყველა კუთხეში გამეფდა.

თეატრის უპირატესობა არის სიტყვა (მეტყველობა), რომელსაც ღღეს ჰქვას მოქმედება. ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში, საფრანგეთის შესანიშნავი მსახიობი ფრ. ღღეს-სარტი (1811—1871 წ.) უსუსტს მოძრაობას მეტ მნიშვნელობას აძლევდა, ვიდრე სიტყვას. („Міет дух, саво лишь сывва“). თუ მივიღებთ ამავე ხელოვნების განმარტებას ხელოვნების შესახებ, რომ ხელოვნება არის შინაბუნების, რაობის შესაფერი ნიშნის გამოძებნა („Искусство есть нахождение знака, соответствующаго сущности“) და, კიდევ, თუ თანემდროვე ცხოვრების მხატვრული ასახვა ყველაზე უფრო გამარჯვება კინოს—მაშინ უნდა ვივლიროთ, რომ ეს „ღღიდი მუნჯი“ არის უპირველესი ხელოვნება.

ჩვენ ზემოდ ვსთქვით, რომ თეატრი მეტყველია; მაგრამ, ვიცით, რომ კინოს ამეტყველება უკვე მიღწეულია.

ამის ცდა ჯერ კიდევ 1901 წ. რუმერმა მოახდინა. შემდეგ 1913 წ. 6 სექტემბერს ვენაში იყო ედისონის აპარატის კინეოგრაფონის დემონსტრაცია. ამ სფეროში მუშაობდნენ მრავალი პროფესორი. უკანასკნელ დროს ფოპტმა ჰენგლემ და მოსიელემ უკვე მიადწიეს მიზანს.

კინოს ამეტყველების ცდაში იყო ორი მიმართულება: გრამაფონიული აპარატის და თითონ ღღეტებში ბგერის საშვალეობით. მთელ სიძნელეს იწვევდა სინხრონიზაცია ე. ი. შეთანხმება ხმებისა და მოძრაობის შორის, მაგრამ ცდის მეორე მიმართულება დასძლევს ამ სიძნელეს.

კინოს ნაკულოვანებად უნდა ჩაითვალოს, რომ ის ყველა ფერებს (მაგ. წითელს) ვერ იღებს. მაგრამ ამ მიწუსის გამოსასწორებლად არის მუშაობა და, ცხადია, მიზანს კიდევ მიაღწევენ. ყველა ის დეფექტები, რომლებიც აქვს თანამედროვე კინოს, გაჰქრებინდ ღ მაშინ სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს თეატრს, რომელიც უკვე დაბერებულია, აღსასრულს უახლოვდება და მას ვერ გაახალგაზრდავებს თუ გინდ ათასი შტაინახი რომ მოევლინოს.

მართო ხელოვნების თეატლიზაციით არ განიზომება კინო.

ხელოვნების არც ერთ დარგს მეცნიერებისათვის არ გაუკეთებია ის, რაც კინოს.

ზოოლოგია და ბოტანიკა, რომლებიც მისაწვდომი იყო მხოლოდ კარგად მოწყობილ ლაბორატორიებში მიკროსკოპების საშვალეობით და ისიც საწეებისათვის—ღღეს არ არის უცხო არავისათვის. კინემატოგრაფის საშვალეობით ყველა გავცნობა ტყის და ზღვის ცხოველების ოკეანის ფსკერზე ამოსულ მეცნარეების, კვრცხებიდან ფრინველების წარმოშობის და მათ მოძრაობის, განვითარების სიკოცხლის და სიკვდილის პროცესებს.

ბუნების სიმშვენიერეს და მოვლენებს კინო ფოტოგრაფიული სისწოროთ გადმოგვცემს. შორეულ მხარეებს (რომლებსაც ჩვენ მხოლოდ ფანტაზიით წარმოვიდგენდით) მათი სპეციფიური თვისებებით, ადამიანებით და მათი ზეგეფულებებით—ჩვენ გავეცნობით სისწოროთ, ისე როგორც სინამდვილეში არის და არა მოგზაურის, მხატვრის ფანტაზიით, მათი სუბიექტიური განცდებით. შეხედულებებით და გაფერადებით.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს კინოს მედიცინაში, კოსმოგრაფიაში და ასტრონომიაში.

სამხედრო ოპერაციებშიც არის კინო საჭირო, ჰაეროლანებიდან კინო აპარატის საშვალეობით შესაძლებელია მტრის მდგომარეობის სრული ასახვა.

კინოს ისტორიული მნიშვნელობაც იქვს. ისტორიის სრული სისწოროთ ვერ გადმოგვცემს მემბრანაზე, რომელიც ხშირად შეცდება და ვერ იქნება ობიექტიური მოვლენების გადმოცემაში და პიროვნებების მიმართ.

მომავალ შთამომავლობისათვის ეკრანზე ღღინის გამოსვლა (მიტინგები, ღღესასწაულები, თუ გინდ ფილმა „3а власть советов“) უფრო მგრძობიარე იქნება, ვიდრე ბიოგრაფიის სქელ ტომიანი წიგნი. ის ნახავს ცოცხალ მორავ და მოლაპარაკე ღღინის და თითულო მისი მცირეოდენი მოძრაობა უფრო ზეგვს ეტყვის, ვიდრე კარგი მხატვრების ღღინის სურათი. პროპაგანდა-აგიტაციისათვის კინო უფედარებელია ..

ერთი სიტყვით. ვერ ნახავთ ცხოვრების ისეთ დარგს, რომელსაც კინო არ ეხმარეღღეს.

ამიტომ არის ყველა განათლებულ ქვეყნებში კინოს დიდი ყურადღება აქვს სახელმწიფოს მიერ. მრავალ ქვეყნებში კინო-ატელიეები წარმოადგენენ ვებებრთელა ქარხნებს, რომლებშიაც მუშაობენ მუშა-მოსამსახურეთა მიღღი არმია. სალიუსტრაციოთ კმარა ეგერმანის კინო-ატელიე „ნაიბაბელსბერგი“. ეს მთელი კონო—ქალაქია. რა თქმა უნდა ამერიკაშიაც არის ასეთი. ამერიკის კინო-ატელიეებში წლიურად მზადდება 100,000 ღღრის ღღრტი, რომლის საჩვენებლად ერთ კონო თეატრში საჭიროა 30,000 საათი ე. ი. ათი წლიწილზე მეტი. აუარებელი დღიური და პერიოდული ღღრტირატურა გაბოღის კინოს შესახებ და კინო თეატრებისათვის აგებენ საუკეთესო სასახლებებს.

ჩვენ მოკლედ და დაახლოვებით გავიცანიით

კინო. ეხლა განვიხილოთ მისი პერსპექტივები ჩვენში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ჩვენში, როგორც საერთოდ ცხოვრების ყველა დარგს, კინოსაც დიდი ყურადღება ექცევა, თუმცა კინო ხელოვნების შესახებ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში სრული სიჩუმეა. ორიოდ წერილს, თუ რეცენზიას მხოლოდ მაშინ წაგვეყვებოდნენ, როცა ახალი ფილმა გამოდის. ამის მიზეზი შეიძლება ის გარემოება არის, რომ ჩვენ ჯერჯერობით არა გვყავს ამ დარგში საკმაო ცოდნით შეიარაღებული ხელოვანი მართალია უკანასკნელ დროს ზოგიერთ ჟურნალში (და ისიც, რომლებსაც პარტიული ორგანოები ხელმძღვანელობენ) არის კინოს განყოფილება, მაგრამ ეს ადგილი უმეტეს №-ში მუდამ ცარიელია და უბრალო, კრონიკულ ცნობებსაც იშვიათად შეხვდებით. დროა ჩვენს განოცემებში დავთმოს ადგილი კინოსაც, ეს მეტად შეუწყობდა ხელს ჩვენს ნორჩს კინო მრეწველობას, რომელსაც დიდი მომავალი აქვს და რომლის შესახებ, მგონი, რუსეთში მეტს სწერენ, ვიდრე ჩვენში. კინემატოგრაფიას ჩვენში (და საერთოდ მთელს საკავშირო რესპუბლიკებში) განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. დღეს მასსა უმთავრესი ფაქტორია. ის კი ისტორიულ პირობების გამო ჩვენში ძალიან ჩამორჩენილია. ჩვენი პერიფერიები ვერ არიან მჭიდრო კავშირში ცენტრებთან, რომ დროულად ხიბობდეს ქალაქის და სოფლის კულტურული წინსვლა.

ხელოვნება, რომელიც ცხოვრების სარკეა, მხოლოდ ქალაქებისათვის არის მისაწვდომი და პროვინციები მოწყვეტილი არიან მისგან. თავისი ტენიკური სიმარტივით, ყოველ სოფელში შეიძლება გაიმართოს კინო სურათების დემონსტრაცია. ასეთი მოძრაი კინო ყველა კულტურულ სახელმწიფოებშია და მისი საქროება ჩვენში კიდევ უფრო დიდია.

მშრომელთა სოციალურ პირობებს: მატერიალურ მდგომარეობას და დროს ეკონომიას კინო დიდ თანაგრძნობას უწევს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კინო მრეწველობას არა ყველა ქვეყანაში შეუძლია აღორძინება. ასეთ კატეგორიას არ ეკუთვნის ჩვენი ქვეყანა; პირიქით ის ნამდვილი საკინემატოგრაფო ქვეყანაა. გეოგრაფიული, ეტნოგრაფიული და სხვა გვარი სახეებით პატარა საქართველო დიდ კონტინენტს შეედრება. კლიმატური სხვადასხვაობა, უდაბნო ადგილები, მშვენიერი ბალები, ზღვა და ბუშბერაზი მთები, მუდმივი ზამთარი და ზაფხული მოსახლეობათა მრავალსახეობა, აღმოსავლეთის და დასავლეთის სინტეზი—ყველა ეს ჰხდინა მას კინემატოგრაფიისათვის ფანტასტიურ მზარდ. აუარებელი მასალა, ფაბულების დაუსრეტელი აუზი, ზღაპრების სამეფო, როგორც აზიის და აფრიკის მიდამოები, მთელი მისი ისტორია გადაკმობული ანტიურ საუკუნოებიდან ეხლამდე. ქალღეიდან ტფილისამდე—ყველა ეს იძლევიან უთავლავე ლიბრეტოს ფილმებისათვის.

მწელია ისეთი კუთხის ნახვა, რომელსაც შეეძლოს კინო ხელოვნებას მისცეს ისეთი გასაჭინი, როგორიც შეუძლია საქართველოს.

დაბა ასეთია ჩვენი ქვეყანა და მისი უხვი სიმდიდრე უნდა მოვიხმაროთ.

ჩვენი კინო—მრეწველობა კარგად მუშაობს. მან მთელი საკავშირო რესპუბლიკების ყურადღება მიიპყრო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი მომავალი უზრუნველყოფილია. არ უნდა დაგვავიწყდეს უმთავრესი; ეს არის აუცილებლობა თავისი სპეცების კადრისა. ჩვენ არა გვყავს არა თუ კინო რეჟისორი—არც ერთი კინო აქტიორი, უნდა ვიცოდეთ, რომ დრამის მსახიობებით თავისებური ეკრანის შექმნა ყოველად შეუძლებელია. ამას გვიმტკიცებს, სხვა ფაქტებს რომ თავი დაეანებოთ, ჩვენი ფილმები. სახელმწიფომ არ უნდა დაიზაროს საკმაო თანხის გაღება და ამ დარგში ნიჭიერი ახალგაზრდები უნდა გაგზავნოს თუ საზღვარ-გარედ არა, მოსკოვში მაინც, სადაც მგონი, არსებობს კინო სტუდია—შკოლა. ცხლანდელი ჩვენი ძალებით და ტენიკით დადგმული ფილმები ვერ დააკმაყოფილებენ არა თუ უცხოეთის საზოგადოებას, თვით ჩვენსაც. უმთავრესი მნიშვნელობა რეჟისორს აქვს. ამ მხრივ ჩვენი საქმე უფრო უხუგეშო მდგომარეობაშია. მართალია ჩვენში მუშაობენ ძალიან კარგი და ნიჭიერი კინო რეჟისორები, მაგრამ ვერ იცნობენ ჩვენს კვყენას ისე, როგორც

ეს საჭიროა ეკრანისათვის. ამას ჩვენ ვხედავთ ჩვენს ფილმებში. დეგლას ფეიერბაკმა, რომელმაც დიდი ხანი არ არის რაც გამოუშვა გრანდიოზული ფილმა „რომინ გულ“, მრავალწლების განმავლობაში ემზადა და სპეციალურად შეისწავლა ინგლისის საგმირო ეპოქა, რომელსაც ეკუთვნის ცნობილი სახალხო ლეგენდა „რომინ გულ“-ზე. ეს ფეიერბაკმა, რომელმაც კარგად იცოდა ინგლისის ლიტერატურა და ისტორია.

ჩვენი ქვეყანა, რომელიც ჩვენგანაც არ არის ჯერ კიდევ კარგად შესწავლილი, ცხადია უცხოელს ვერ ეკოდინება ისე კარგად, როგორც ეს საჭიროა თავისებურ ეკრანის შესაქმნელად.

ამგვარად, ჩვენ რომ შევქნათ თავისებური ეკრანი, საჭიროა თავისი სპეცი ძალების კადრი გვყავდეს. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლება მოვიხმაროთ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე, გამოვიდეთ მსოფლიო ბაზარზე და სახელმწიფოს დავეხმაროთ სხვა დარგის ასაღორძინებლად.

o. ხინველი.



მეკურთხევი

გაზაფხულის მზურვალე მზემ სუსხიან ზამთარს დაასო ხარბი სხივები და ტფილისის მიდამო გაათბო..

ყველა თავთავიანთ საქმისკენ მიემართებოდნენ, მხოლოდ მეკურთხე მუშები გაჩერებულყვენ მზიან ქვაფენილზე და ყოველ გაველელეს თვალში შეკურთხებდნენ; იქნება ბედმა გაგვილიმოს და სამუშაო ვიშოვოთ.

ეს იყო წინეთ; მაშინ, როდესაც მუშას ტუბილი სისხრის ნებასაც არ აძლევდნენ და მათ მიერ დაღვრილ ოფლში ბანაობდნენ „ბატონები“.

რად დაეიბადე ასე უბედური, ჩვენ ლუქმა პური გვენატრება და იმ კაცს შეხედე, როგორ დაუშვია ღიბი მუცელზე!

გაიშვირა ხელი ერთ მუშამ, რომელიც გაზეთის ქალაღლში გახვეულ თუთუნს აბოლებდა.

— მუშა! მოეთრიე აქ ამყად დაუძახა შორიდან ვილაცამ და თვლები გადაავლო გამველელ ხალხს, ვერცხლის პოლიგვარტიდან სივარტი ამოიღო და ტროსტის გარხვეით გადახედა მუშას...

— მუშები ზეზედ წამოცვინდნენ, მათ ეშინოდათ არ გაეგონათ სიტყვა, რომ მხოლოდ ერთი მუშა მინდაო!..

— მე, ფართალი მაქვს წასაღები და სავაჭროში წამიღე—უთხრა ვაჭარმა ერთს გარეგნულად შეხედულსა და ბრვე მუშას!..

— კი შენი ჰირიმე; მიუგო მუშამ და სიხარულით გაისწორა კურტანი. სხვა მუშები კი ყურ ჩამოყრილები გაუდგნენ ისევე ძველ ადვილს...

— გიგომ იშოვა საქმე და ჩვენ კი ვერა, ამოიხვრით სთქვა ერთმა და მოიკეცა კურტანზე დასასვენებლად...

გიგომ უკვე ტვირთი აიკიდა. მანძილი გრძელი ჰქონდა და ამიტომ არ ჩქარობდა, იცოდა რომ მძიმე ტვირთში სიჩქარე მალე დალიდა ადამიანს!

მიდის წინ და უკან მიყვება ვაჭარი. მის მეტე სისუქნით ოფლი სდიოდა, რომელსაც იშრობდა ცხვირსახოკით...

მზე თავისას არ იშლიდა. შუა დღე ახლოვდებოდა და სითბოც მატულობდა... აღმართი იყო გზა გიგოსი... ოფლი მისის წვიმასავით ჩამოსდიოდა სახეზე და ზანჯიან სახელოთი დროგამოშვებით იხოცდა მას სახედან. სახე გამურული...

თვლები აწითლებული... ათასნაირი ნაჭრებიდან შეკონკლი სამოსით მიდის წინ და მიაქვს ბარგი. ლაილადა, მაგრამ სიხარული მაინც არ შორდება, ჰგონია რომ „ხაზინი“ დააჯილოვებებს...

როგორც იქნა გამოჩნდა ვაჭრის სავაჭრო ავლაბარში.

გიგომ ტვირთი მოიხსნა, ბლუზი გაიწურა, ამოიგნეშა და მადლიანთ შეხედა ვაჭარს თვალბში...

ვაჭარს უღვაშებში ეციებოდა მარცხენა ჯიბაზე ხელი გაიკრა, ამოიღო ორ შაურიანი და დაუგლო გიგოს წინ!

— ეს რა არის! უთხრა მან;—ბავში ხომ არა ვარ ასე ცოტას რომ მაძლევ?

— ბავშვზე უარესი ხარ? გინდა აიღე არა და მომშორდი თავიდან, თორემ იცოდი სულ არ მოგცემ...

გიგოს ცეცხლი აენტო გულზე, თან მოკონდა ბავშვები მშვირი, თვითონაც უშველი... აილოს უნდა ორი შაური და წაივიდეს?

— ხაზინ, მომიბტე, თორემ ცოლდე ვარ, ამოდენი ნივთი ასე შორ მოგიტანე და ორი შაური რა არის? საწყლად დაუწყო ლაპარაკი გიგომ ვაჭარს.

ვაპარმა ერთი მადიანად ამომთქნარა და შევიდა სავაპროში! ნოქრებს ფართალი დააწყობია დაზგაზე და არხეინად ჩაჯდა სავარძელში.

საცოდავი გიგო ფიქრობს; არ იცის რა ქნას წაილოს ორი შაური რად უნდა, არ წაილოს და ვაპარი მტეს არ აძლევს...

ერთი შეჩერდა;— არა ასეთი ცხოვრება არ ღირს სთქვა მან და შევარდა სავაპროში, მივარდა ვაპართან და უთხრა:

— მომცემ თუ არა ჩემს კუთვნილ გასამარჯელოს?

— გაეთრიე აქედ შენ ძაღლო, Вот тебе и ха!..

ფეხზე ადგომით დაუყვირა ვაპარმა. აღელვებულმა და მოთმინებიდან გამოსულ გიგომ ვერ მოითმინა ყველა ეს. კურტანი გვერდზე მოივლო, ამოიღო ჯიბიდან ბეჭუთი-დანა და დაასო ვაპარს მარცხენა ძუძუში...

იხეე შენ!

სთქვა და გავარდა გარედ. ისე სისწრაფლით მოხდა ყველა ეს, რომ ნოქრებმა ადგილიდან დაძვრა კი ვერ მოახერხეს.

ვაპარი იქვე ჩაიკეცა და მდინარესავეთ ამოხეთქა გულიდან ნელ-თბილ სისხლმა, ერთი ღორივით ამოიღო ოტინა და დალია სულ... ნოქრებმა აიღეს მიცვალეზული, დასდეს დაზგაზე და შიშით შეპყრობილი ვერ ახერხებდნენ ვერაფერს...

უანდრებმა გაიგეს ესა, დაკრეს საყვირი, შეგროვდა აღმინისტრაცია, შეაყენეს ოქმი. ვინ მოკლა ეს? ჰკითხა პრისტავმა ნოქრებს.

— ეს, ვილაც მეგურტენე მუშამ მოკლა. ძლივსა დაამატა ერთთავანმა.

ნოქრები დაიკირეს...

მაგრამ მკვლელი?

გიგო უკვე ქალაქს გარედ იყო...

მგელვით გაშვებულ ვარბოდა სისხლიან დანით, ვინ იცის სანამ არ ირბენდა, რომ მუხლები არ დასუსტებოდა, ძალა არ გამოლოდა და არ მიკეცილიყო ხის ძირში...

მეც დამოუპე მაგრამ არც შენ დაგაყარე ხერი შენ უსინდისო ვაპარო, შენ ჩემთვის გაჩენილხარ და მე კი შენს ყასაბად და...

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა მაგრამ ცოლ-შვილის მოგონებამ ცრემლები გადმოაფრქვე-მშვირს, ვინა და ბავშვივით ნალღიანი ტირილით მერტად დალილს მიეძინა იქვე...

სიზმარის წყება არ ასვენებდა გიგოს!

— პაპა, ეს რა არის? ზული არ მომიტანე, — ბენა, ბიუტელას პერანგი როგორმე უყიდე თორემ მზე ზურგს დასწვავს... ხვალე რა გვაშობა!

შვილის და ცოლის ბასი გადამეშალა გიგოს ამ დროს სიზმარში...

დანაზე სისხლი თანდათანობით შრებოდა... გიგოს ძილის დროს მზემ უკვე ჩააბარა დღე დამეს და მთვარის ნელი ამოგორებით ღამემ დაიმორჩილა ქვეყანა...

კარგა გათენებული ჯერ კიდევ არ იყო, რომ ძალა მიხდილმა გიგომ გაახილა თვალები; უკვე გონს მოსულმა მიხვდა, რომ მის თავს კარგი რამ არ მოუვიდა. დაიხედა ძირს დანა დაი ნახა: წამოფარდა ზეზედ და დაიყვარა:

— როგორ? დანა? გადავირიე, ცოლ-შვილი დაიკალი? მოკთო ღრიალი.

თვალებზე ხელი გადაისვა, გაიხედ გამოიხედა არავინა სჩანს, არც სახლი არც ადამიანი. მიდამო სრულიად უცნობი აღმოჩნდა...

აღმინისტრაციამ ნოქრები უკვე გაასამართლა, მათი გამორკვევით მკვლელობა მათ დაბრალდა და ზოგ მთვანს მიუსაჯეს ხანგრძლივი ციხეში ჯდომა...

გიგო უკვე გზა აბნეული არის, არ იცის სად წავიდეს, როგორ შე-ფაროს თავი ვისმეს, რომ ეახნდრებებმა არ შეიპყროს...

მიდის, მაგრამ სად? არც მან იცის!..

გიგოს ცოლ-შვილი გაფაციცებით ეძებენ მას. აღიანი ქალაქში, ათვალეირებენ მეგურტენებს, მაგრამ გიგო მათ შორის არ არის! არც ამხანაგებმა იციან მისი ამბავი. ბავშვების თივლი ხვილს აკლებული აქვს იქაურობა...

რა ქნას დღემ, რით არჩინოს ისინი? მამა არ სჩანს!..

— არა, წავალ და დავიწყებ მათხოვრობას! სთქვა გიგოს ცოლმა და ეს განზრახვა მოიყვანა სისრულეში.

დადის ქუჩებში, თხოულობს პურს და ასახროვებს შეიღებს...

გავიდა ხანი. გიგო მაინც არ სჩანს! სად წავიდა ის?

მან ხეტიალის დროს იშოვა თავისი ბედის მოზიარე ადამიანი. უამბეს ერთმანეთს თავიანთი თავგადასავალი და შეფიცეს ერთად ყოფნა ჰქონს და ლხინის დროს...

— ჩვენ გიგო, უნდა მივძებნოთ ისეთი ადგილი, სადაც შეგვიტლება ცოტათი თავისუფლად არსებობა, იქ დაუახლოვდეთ ამხანაგ მუშებს, ვასწავლოთ ბრძოლა უკანონო შობილთ წინააღმდეგ, დროა ბოლო მოელოს ამ უკანონობას ჩვენს ყვლეფას!.. მეტის დაკვირვებითა და ნელი გამოთქმით უთხრა ლუკამ ეს სიტყვები გიგოს. ეტყობოდა რომ ლუკა მომზადებული კაცი იყო და გაუნათლებელ გიგოს ეს ახარებდა.

— მე რასაც მეტყვი ლუკა, ფიცსა ვდებ შენს წინაშე, რომ უშიშრად შევასრულო ოღონდ ჩვენს მტრებს მოელოს ბილი!..

...გიგო და ლუკა უკვე ბათონში არიან, ცხოვრობენ ერთს ღარიბ კაცის ნესტიან ოთახში...

ისინი დაუახლოვდნენ „მანათაშვის“ ქარხანაში მომუშავე მუშებს.

ყოველივე მუშასთან ისინი ფრთხილად მიდიოდნენ და სამაგვიროდ მალე იმსახურებდნენ სრულ ნდობას...

იქ მათ შექმნეს ჯგუფები არა-ლეგალური; ჯგუფები თანდათანობით ძლიერდებოდნენ და საგრძნობელი სიხარულით მიდიოდნენ წინ!..

...გავიდა რამდენიმე ხანი...

რევოლუციის სული შეიჭრა დაჩაგრულ ხალხში... ნიკოლოზის დამქაშებს რაღაც ცუდი სიხმრები აწუხებდა...

...დაიბრიალა მუშურ მკლავებით ახმაურებულმა დაფხალარამ, საყვირმა ქარხნებისამ შესძრეს მთელი ქვეყანა, ატყდა ბრძოლა, სისხლით შეიღება დროშა...

ის დროშა, რომელიც მთელი საუკუნე ინახებოდა მშრომლის გულში და წითელი ფერი მიეღო ქვეყნიერებას...

— ძირს, დაჰკარი მავათ!

— დაჰკარიოთ!..

იმასხოდა განრისხებული გიგო და ეშვებოდა ბრძოლის ცეცხლში, ვით შევარდენი ცის სივრცეში.

მთვარეს ვერ გაეგება ამოსვლა, ის შიშისაგან ეფარებოდა მაღალ მთა-გორაკებს...

ყავე-ყორნებმა ზარბაზნების გრიალში და წამლის სუნში იგრძენეს გემთა ოხვრა ქუჩებსა და მიდამოებში. გათენებას მოუთმენლად ელოდებოდნენ...

ცამ ნელ-ნელა გადაიღო შავი ღრუბლები და განთიადის გრილ მუქმა უთხრა „ნანინა“ დაღლებულ მებრძოლთა!..

მზე სიცილით ამოვიდა, მარაოსავით გაშალა თავისი სხივები და ცას, ხმელეთს მოედო ელვარე ფერი...

ქალაქების სახურავებზე ამაყად იყო აღმართული წითელი დროშა და ოქტომბრის მძიმე დღეებს დაყურებდა მოქანცული...


ლუკა დაიღუბა ბრძოლაში.

გიგოს მარჯვენა ხელი მოსტეხეს...

მაგრამ ის ამას სრულიად არ ჩაუფიქრებია. მან მიიღო სრული გამარჯვება, დაუბრუნდა მის ძველ ქალაქ ტფილისს და დღეს ცხოვრობს თავის უფლად თავის შეიღებთან, ცოლი თუმცაღა გარდაეცვალა, მაგრამ დაეკაცებულ შვილებს ის ტყვეობით, წითელი დროშის სისხლით ტყვეობად ცხოვრობს...

მისი ქალაქი წვირი უცინის წითელ დროშას. წითელი დროშა კი აგონებს მას ოქტომბრის ალისფერი დღეებს.

შალვა ჯანგერი.



საკურთხი მღვდლისა თუ მიცვალებულის?

სტენა ერთ მოქმედებად

მომქმედნი პირნი:

ანტონი	55 წლ.
თებრო	25 წლ.
მღვდელი	
კომკავშირელები	

(სტენა წარმოადგენს სისახლოის, ორი სიფლაგია, ერთს თებრო ოღვის თავზე დახოქილი, საკურთხით, მეორეს ანტონი).

თებრო. (ტირილით მოთქვამს) მამიკო, ჩემო საყვარელო მამა, რათ გამწირე ასე, რათ დააობლე შენი ჯებდური შვილი! მამა, შენს მეტი მე არავინ მყავდა, არც ღედა, არც ძმა, არც და, ბარემ მეც მოემგვდარაყავი ის არ

მერჩია ასეთ ყოფნას!.. მამა, საყვარელო მამიკო!.. რათ არ ანუგეშებ შენს დაჩაგრულს თებროს! აი მამა, რაც კი მებოდა სახლში, გავეიდე და შენს საკურთხს მოვახმარე. ცუდათ არ მომიხსენიებ... მამა, მამა, ჩემო დაუფიწყარო მამიკონა! (ჩუმად განაგრძობს ტირილს).

ანტონი. შეილო, შეილო, ჩემო დაეკაცებულო შეილო, ჩემო სიამაყე! რა ვარ ეხლა მე, რას წარმოვადგენ. შეილო შენით ეცოცხლობდი და ეხარობდი, შენით ვამაყობდი, შენით მქონდა ხალხში სალამი და დღეს რაღამ გამახაროს, რიდათ ვიამაყო? შეილო, თუმცა შენ სიცოცხლეში გმობდი დეურთს, არ გწამდა არც ხატი, არც ჯვარი, არც ეკლესია და არც საკურთხი, მაგ-

რამ ამ საკუროხით მიინც დარწმუნდები, რომ საცოდავი მამაშენი მართალი იყო აი, შვილო შენმა ღარიბმა მამამ, როგორც იყო მოახერხა საკუროხის გაწაფება. შვილო, შვილო! ჩემო ნუგეშო!... (ჩუმით ქეითინებს. პაუზა).

თებრო. ნეტავ სადა ამღვინი ხანი ჩვენი მოძღვარი, რათ დიდგვიანა?

ანტონი. საწყალი სატანჯველშია ჩავარდნილი, ძლიერ ბევრი მესაკუროხე ყავს დღეს და ვერ აუვიდა, საშინლად დაიქანცა.

თებრო. მართლაც შესაბრაღისია საცოდავი, ყველა საფლავს ადგია თავზე ჭირისუფლები საკუროხებით, და რა თქმა უნდა ვერას გახდება ერთი მღვდელი.

ანტონი. ჩვენ უთხარით მის, თუ ატყობთ თავის გართმევა ვიჭირს, დამხმარე მღვდელს ვიშოვნი თქო წარმოადგინეთ ისე იწყინა, რომ ყველანი დაგვიანდლა, რას ქვიან დამხმარე მღვდელს გვიშონითო, აბა მე რაღას თვის ვარ აქაო!...

თებრო.—ეგვც ერთგვარი ჯიუტობაა, დამხმარე მღვდელი რომ ყავდეს, ისიც დროზე მორჩებოდა და ჩვენც მალე განვითავისუფლებოლით.

ანტონი.—რა თქმა უნდა, მაგრამ როგორც ახლა მე ვრწმუნდები, ამით უნდა ხალხს ასაიმოვნოს და მისდამი ერთგულება და გულკეთილობა გამოიჩინოს.

თებრო.—ეგვც მართალია. (პაუზა) ერთი მიგხედავ დიდხანს დიდგვიანებს კიდევ თუ არა? (გაიხედავს) ღმერთო მომკალი! ჩვენს ლაპარაკში იმას კიდევ დაუთავებია და წასულა!

ანტონი.—რას ბრძანებთ, ნუ თუ მართლა? (გაიხედავს) მართლა წასულა!

თებრო.—რა ექნათ ახლა, როგორ მოვიქცეთ?

ანტონი.—როგორ თუ რა ექნათ, გამოუდგეთ და თუ ნებას არ დაგყვება ძალით მოვიყვანოთ, აბა საკუროხის უკუროხებელს დაეტოვებთ?

თებრო. ძალიან კარგი იქნება. მაგრამ ამ საკუროხის რა უყოთ?

ანტონი.—დაეტოვოთ, ვინ მოიპარავს როდესაც აქ არავინ არის.

თებრო.—მაშ კარგი, აბა გამოუდგეთ...

ანტონი.—აბა ჩქარა, ჩქარა სანამ სახლში მივიღოდე. (გარბიან). (მეროე მხრიდან შემოდის მღვდელი ჯვარით, საციცხლურით და სახარებით, დიაკონი სავსე ხურჯინით).

მღვდელი.—ეს კარგი ამბავია!.. ამით საკუროხი მიუტოვებიათ და საღაც წასულან. (პაუზა) ჩამოვჯდეთ დიაკონო! მიინც ისე დავიდალ რომ არაქათი სრულიად გამომეღია.

დიაკონი.—ძალიან კარგი იქნება მამაო! (ჩამოვჯდებიან საფლავეზე) აი, დასწყევლოს ღმერთმა იმ ბავშვების სახელი—არ ვაგვიჭირეს საქმე!..

მღვდელი.—ოოო, ნულარ ვამახსენებ, მეტად საზიზღრებია.

დიაკონი.—მაგრამ მადლობა ღმერთს, კარგად გამოვეპარეთ, აქ მგონი ვეღარ მოგვაგნებენ; იმ ვასატიალებლებმა საკუროხი თითქმის გაგვიანხვერეს და თავიანთ პატრონებს დაუბრუნეს.

მღვდელი.—ოხრდებლები არიან, არავითარი სწავლა-ღარიბება მათთან არ გადის. არც გა-

ემტყუნებთ „კომსომოლისტებია“ და ვითომ ხალხის მოამბგეთ მოაქვთ თავი.

დიაკონი.—იი, კონსულობა მგაათ და შავი ნაცარი!.. (პაუზა).

მღვდელი.—დიაკონო, ერთი ჩახედე რა აწყვია მაგ ხელსახოცში?

დიაკონი.—(ხელს მიაღებს) იფ, იფ, იფ რა ცხელ-ცხელია რაღაცაა... თუ გნებავს გავხსნი...

მღვდელი.—დანებე თავი, სულ ერთია ჩვენი არაა?

დიაკონი.—რა თქმა უნდა...

მღვდელი.—ერთი ეს მითხარი, რაეა დღეს ჩვენი შემოსავლის საქმე, ხომ მსუქნათაა?

დიაკონი.—ისე, როგორც ჩვენ მოგვიხდება.

მღვდელი.—მიინც?...

დიაკონი.—ტყვილი რომ არა ესტევა, დღევანდელი ჩვენი შემოსავალი ნახევარ წელიწადს თამამად გვეყოფა.

მღვდელი.—კეთილი, კეთილი, ერთი ეს მითხარი—ქათამი რამდენი მერგო მე?

დიაკონი.—(გაიხედავს-გამოიხედავს) აქ მიინც არავინ არის მამაო და ბარემ ქალაღზე მიწერია და წაგეოთხავთ.

მღვდელი.—აბა, აბა!..

დიაკონი.—(ამოიღებს ჯრიდან ქალაღს და კითხულობს): ხაქაპურები გერგოთ თქვენ 345, მე—125; ქათამი თქვენ 120, მე—35, შაშხი თქვენ ორ ფუთ-ნახევარი, მე კი 30 გირვ., ბატკანი თქვენ გერგოთ 7, მე—1, გოქი თქვენ 20, მე—5, პასქა თქვენ ფუთ-ნახევარი; მე—25 გირვ., ღვინო თქვენ გერგოთ 6 ფუთი, მე—2 ფ. კვერცხებს, ყველს და ხილუელობას ხომ ანგარიში არა აქვს.

მღვდელი.—კეთილი, კეთილი, მართლაც კარგათ წასულა ჩვენი საქმე, ხომ ყველა გამოგზავნე სახლში.

დიაკონი.—კი მამაო, სულ გავგზავნე.

მღვდელი.—ყურუსაღებო!! გინდა თუ არა დანიხმარე მეროე მღვდელი, გიყი მნახეს ჩემ საზარალით ვიმოქმედო?

დიაკონი.—(ავიხნოე მამა თქვენი, კარგად კი მოუჭერით სიტყვა.

მღვდელი.—აბა, დიაკონო ახლა შენზეა საქმე, ყველა ეს სურსათ-სანოვავე ხვალეე უნდა გამაყიდინო კარგ ფასებში, თორემ წახდება.

დიაკონი.—გქონდეს იმედო.

მღვდელი.—შენმა ქალმა რათ შესწვიტა ჩემთან სიარული ამ ბოლო ხანებში, რა დავმართა?

დიაკონი.—რა მოგახსენო მამაო, მეც ბევრს ვემუღარები, რომ ხაროს თქვენთან, მაგრამ რომ არ თანხმდება შენი ჭირიმე!

მღვდელი.—მე ის მწერს, ქმარმა ამიკრძალა მოსვლაო.

დიაკონი.—არა, მამაო, მე მხოლოდ ერთხელ არ გამოუშვი, რადგან სახლში ბევრი საქმე მქონდა, ეს მან იწყინა.

მერე ბევრჯერ ვსთხოვე, მაგრამ აღარ წამოვიდა.

მღვდელი.—ნუ დაუშლი შვილო, იაროს.

დიაკონი.—კი მამაო! მე მისი დამშლელი არა ვარ.

მღვდელი.—სად გადაიკარგენ ეს ოჯახ დაქცეულები ამდენი ხანი?

დიაკონი.—მართლა სად არიან, რათ დიდგვიანეს?

მღვდელი.—დიაკონო! რომ დავფიქრდები გოესავით ამიტყდება სიტყვი.

დიაკონი.—რათა მამაო? რათ გეცინება?

მღვდელი.—როგორ არ გამეცინება განა არ ხედავ როგორ ვატყუებთ ხალხსა?! ყიდიან რაც კი აბაღიათ სახლში და ჩვენთან მოაქვთ; ერთი შეკითხვით ამ საცოდავებს: მართლა რომ ღმერთი საღმე იყოს, ნუ თუ ერთი ისეთი სასწაული ვერ მოიმოქმედა, ეკლესიების და ხატ ჯვრების ამაწოკებელი პირები პირქვე დანებო? მაგრამ ხეპრე, ხეპრეთ დაბადებულა და ხეპრეთეე მოკვდება. ასეთი ხეპრე ჯერ კიდევ ბევრი გვაყავს და ჩვენც თავისუფლათ ეთლოთ და ვქაშოთ, რას იტყვი დიაკონო?

დიაკონი.—სასუფეველში ვართ მამაო, სასუფეველში, მაგრამ როგორღაც შეშინია, ვი თუ ჩვენზეც დადგეს ჯერი და ამ კომუნისტებმა წამოგვანთხვეოს პირიდან?

მღვდელი.—სანამ ჩენ შეუგნებელი ბრბო ზურგს გვიმაგრებს, კომუნისტები ვერაფერს დაგვაკლებენ.

დიაკონი.—სრული ქეშმარიტებაა! (იციინს). (შემოდის თებრო და ანტონი).

თებრო.—უჰ, მამაო, თქვენც ძებნაში ვართ და კიდევ კარგი რომ აქ ბრძანებულხართ, თორემ სახლში უნდა გხლებოდით!

ანტონი.—მამაო, კინაღამ გული გამისკდა, ვიფიქრე ვი თუ ჩემი მიცვალებული უსაკუროხით დამიტოვა ექო!

(შემოდის კომკავშირელები).

კომკავშირელი.—აგერ ყოფილან სულის მაცხონებელი მამები!

მღვდელი.—(ანტონს და თებროს) მე ვიცოდო ვილემო, რომ თქვენ აქ მიცდილით ღ საკუროხს დაუკუროხებელს როგორ დაგიტოვებდით?—აბა დიაკონო დაიფიქოთ: (დაიწყებენ ლოცვას)

„უფლისა მიმართ ვალოცოთ“. (აიღებს საფლავიდან ჯვარს და გადასახებს საფლავეს) ღმერთო ძლიერო, შენ მოაჩვენე ლოდსა ამას ქვეშ მდებარე განსვენებულს... (თებროს) სახელი რა ქვიდა?

თებრო.—ალექსი...

მღვდელი.—ალექსის—პური, ღვინო, ქათამი და ხაქაპურები და მიეც მას საუკუნოთ ხსენებაა!..

დიაკონი.—(გალობს) საუკუნოთ იყვეს ხსენება მისი. (აიღებს საკუროხს და თავზე შემოიდებს რომ ბავშვებმა არ წაართვან).

კომკავშირელი.—გადმოიღე საკუროხი მალე და პატრონს დაუბრუნე! (ებლაუჭებიან).

დიაკონი.—იქით, დიაკარგეთ თქვენ მხეცებო! იგარბის და თან მისდევენ კომკავშირელები)

თებრო. (მოწიწებით მიუახლოვდება მღვდელს) მამაო სახლში ერთი ლუკმა პური არ მომეტებნება, იქნება ერთი ხაქაპური დამიბრუნოთ, მაღლია...

მღვდელი.—არა შვილო, ეგ როგორ იქნება, ეგ წესის დარღვევა იქნება და შენს მიცვალბულს როგორღა აცხონებ?

(ქულისებში ხმაურობა ისმის).

მღვდელი.—(მივა მეროე საფლავეთან, აიღებს საკუროხს, ილიაში ამოიდებს და ცდილობს მალე გაათავოს კუროხევა): უფლისა მიმართ ვილოცოთ (თვითონვე გალობს. მერე იტყვის)

დმერთო ძლიერო, შენ მოაჩვენე ლოდს ამასა ქვეშ მდებარე განსვენებულს (ანტონს) სახელი რა ქვიოდან?

ანტონი—ბიჭიკო...

მღვდელი—ბიჭიკოსა, და მიეც მას საუკუნოთ ხსენება, (თვითონვე გალობს) საუკუნოთ იყოს ხსენება მისი! (უკან უკან იწევეს და შემდეგ საკურთხიანათ გაიქცევი. დარჩებიან ანტონი და თებრო).

კომკავშირელი—რა ქენით, გაატანეთ საკურთხი? ეს, როდის დადგება ის დრო როდესაც თქვენ შეგნების გზას დაადგებით ამა დაფიქრდით, რას ჩადისართ: უკანასკნელი ლუქმა გქონდათ და მათ გაატანეთ, რათა, რისთვის? ერთი მიპასუხე! მღვდელმა და დიაკონმა სანამდე უნდა გატყუოთ? ეს საკურთხები თქვენ მიცვალდეს მინც არა ფერს შევლის? ეს არის თქვენი უფიცობა და არც ის გინდათ, რომ სხვას დაუჯეროთ!

ანტონი—კი, შვილო აწი კი დავიჯერებთ, რადგან ნათლად ვხედავთ რაც მისწრავება მაგათ ჰქონიათ.

კომკავშირელი—ეხლა ხომ მინც დარწმუნდით?

ანტონი—ახლა კი დავრწმუნდით, მაგრამ გვიანდა... (მოისმის ხმაურობა მღვდელი ყვირის!) ააა, თქვენ მხეცებო, თქვე ნადირებო! რას ჩადისართ, დავიბრუნეთ ჩქარა საკურთხი, (დიაკონს ყვირის) არ გაუშვათ, არ გაუშვათ, არ გაუშვათ წაართეთ, ჩვენია, ჩვენია...

კომკავშირელი—(კულისებში) ვერ მოგართვით, გვეყოთ რაც ცარცეთ! დარბი ხალხი. (შემოვარდება და შემოაქვს ორივე საკურთხი და გადასცემს იქ მდგომ თებროს და ანტონს) აი ჩაიბარეთ თქვენი ნაწარმი. მხოლოდ არ დაიფიქროთ, რაც დარჩება მოგვცით.

ანტონი—გმადლობთ, დიდათ გმადლობთ დავიფიქრებთ კი არა დღეიდან მე მაგათი შეურაცხველი მტერი ვიქნები!

კომკავშირელი—თქვენ თებრო?

თებრო—მეც თქვენთანა ვარ დღეიდან (დიდი ხმაურობა კულისებში; შემოიცივიან კომკავშირელები, მათ მისდევთ მღვდელი და დიაკონი, მღვდელი ესერის მათ ოლასს. შემდეგ მიაყოლებს ჯვარს; დიაკონი კი საცეცხლურს. კომკავშირელები აიღებენ და შორს გადასვრიან. სიწყნარია, პაუზა).

მღვდელი (ანტონს და თებროს) დავიბრუნე საკურთხი.

ანტონი—ვერ მოგართვი.

მღვდელი—კარგი, მაგრამ მიცვალდებულები რომ აღარ ცხონდები!

ანტონი—კმარა, თქვენის თვალთმაქცობით აწი ველარ ავგიხვევ თვალებს, ამდენი ხანი თქვენი ბრმა იარაღი დიყავი, ახლა კი ნათლად ვხედავ ვინცა ბრძანდებით; გასწით აქედან! (იიხის!) **მღვდელი** და **დიაკონი** **დარცხენილი** **მიდიან**, მათ თან **დაცინივთ** **გამოუღდებიან** **კომკავშირელები**.

(ფარდა).

სანდრო ბოჰორიშვილი.



ბიბლიოგრაფია

ფურდინანდ დიუშენ. „ტამილა“ გამოცემლობა „Мисль“ ლენინგრადი.

„ტამილას“ ავტორმა 1921 წელს ალერის პირველი ლიტერატურული პრემია მიიღო. ამ წიგნისათვის. უნდა ითქვას, რომ იმ ლიტერატურულ დომბალში, რომელმაც ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე ვადასვლასთან ერთად მრავლათ გაავსო ყველა წიგნის მალაზიები, „ტამილა“, როგორც მხატვრული ნაწარმიები გამოწავლის შეადგენს. ეს წიგნი არის პროტესტი იმ უფულებობის წინააღმდეგ, რომელშიც აღმოსავლეთის ქალი იმყოფება, პროტესტი მხატვრულ ფორმებში გამოხატული. მაგრამ მოკლებული იმას, რასაც ქვეია გამოავალზე მითითება, უკეთესის დანახება.

ფურდინანდ დიუშენი პუანკარეს საფრანგესის „კეთილი“ მოქალაქეა და როგორც ასეთის მას არ შეუძლია რევოლუციონერობა გამოიჩინოს, სთქვას ის, რომ აღმოსავლეთის ქალის დამონებაში ევროპულ „კულტურტეგვიორებას“ დიდი დანაშაული მიუძღვით.

და მართლაც ათეული, ასეული წლების განმავლობაში ფლობს კულტურული ერთი პირველყოფილ მდგომარეობაში მყოფი ხალხით დასახლებულ ტერიტორიას და იქ იოტის ოდენათაც არ იცვლება ამ ხალხის ყოფა-ცხოვრება, იოტის ოდენათაც არ იცვლება ამ ხალხის ყველაზე უფრო დამონებელი ნაწილის — დედაქალაქის — მდგომარეობა!

არა თუ არაფერი არ შეცვლილა, არამედ არც **გადადგმულა** რაიმე ნაბიჯი, რომ ასეთი მდგომარეობა შეცვლილიყო, პირიქით, კაპიტალისტები, მყვლეფელები, კოლონიების ყაჩაღები ადასტურებდნენ, აკანონებდნენ ადგილობრივ ადასტურებს, ზენე-ჩვეულებებს, რა გინდ ველური არა ყოფილიყო ის, ოღონდ კი ეს ზენე-ჩვეულებები მათი ბატონობის წინააღმდეგ არ ყოფილიყო მიმართული.

ო, მაშინ კი, როცა ეს ადასტურებს, ზენე-ჩვეულებები ხელს უშლიან მათ ძარცვა-გლეჯაში, მაშინ ეს ტერიას და ვენერალად გალიფეს ღირსული მემკვიდრეები, თვალის დახამხამებაში „რევოლუციონერებიდან“ და ზარბაზნებითა და ტანკებით ამსხვრევენ ძველ ზენე-ჩვეულებებს.

კოლონიებში დამონებელი მთელი მოსახლეობა კი არ არის. დამონებულია მხოლოდ კოლონიების მშრომელი ნაწილი, შეძლებულ ნაწილს ევროპიდან მოსულმა მყვლეფელებმა წაართვეს მხოლოდ ასე ესთქვათ თავისთვის თავისუფალი ძარცვა-გლეჯის თავისუფლება. მაგრამ კოლონიების ამ შეძლებულმა ნაწილმა სწრაფად აინახლაურა ძარცვა-გლეჯაში უპირატესობის წარმოებით გამოწვეული დანაკლისი. ის შეიქნა დამპყრობელების გზის მაჩვენებელი, ადგილობრივ მათი გავლენის გამტარებელი და კარგათ იკვებება იმ ნასუფრალოთ, რომელიც ბატონების ნაღიშზე უხვად სცივია.

ნიშნად მადლობისა „განათლებულმა“ ყაჩაღებმა მათ დაუტოვეს ხელუხლებლად ყველაფერი ის, რაც მათ ჯოფა-ცხოვრებას შეეხება კერძოდ კი დასტოვეს ის დედაქალაქის ბატონად, მბრძანებლად. განა ღირს დედაქალაქის

გულისათვის ერთგულ ქვეშევრდომებთან დამოკიდებულების გამწვავება!

კოლონიებში, ალერში, ოჯახურ ურთიერთობის საკითხში ფრანგი მსაჯულები ხელმძღვანელობენ იმ კანონებით, რომელიც მათ დახვდათ.

ევროპიელმა მძარცველებმა აღმოსავლეთის ქალს განთავისუფლების ნაცვლად მიუტანეს სიფილისი და სხვა ვენერიულ ავადმყოფობანი, გაამრავლეს საროსკიპო სახლები და თვითონდა უხვად სარგებლობენ იმით, რომ ქალი აღმოსავლეთში ყიდვა-გაყიდვის ისეთივე სავანია, როგორც ხალხია.

აი რა კანონებით ხელმძღვანელობენ ქალის აღიარებულ ფრანგი მსაჯულები კოლონიებში, ალერში (ეს კანონი ეკუთვნის კაბილემის ჟი ტომს):

„კაბილელ ქალს არა აქვს მემკვიდრეობის უფლება“ (ე. ი. მამის ქონებიდან მას არ შეუძლია მიიღოს რამე).

მას არა აქვს საკუთრების არავითარი უფლება, გარდა საკუთრებისა იმ ტანსაცმელზე, რომელსაც ატარებს.

ქორწინება: მას ყიდის მამა ან, თუ ასეთი არა ყავს, ახლობელი ნათესავი-მამაკაცი, რომლებიც იღებენ ვასამრჯელოს.

მისი თანხმობა გათხოვებაზე საჭირო არ არის. ის შეუძლიათ ძალით გაათხოვოს მამაკაცმა, რომელსაც აქვს უფლება მასზე.

მას არა აქვს უფლება არ იცხოვროს თავის ქმართან. მას არა აქვს უფლება, არავითარ შემთხვევაში, არავითარი საბუთით, მოითხოვოს ქმართან განშორება სისამართლოს წესით.

ქმარს შეუძლია მოიშოროს ცოლი როცა მოისურვებს.

ცოლის მოშორების დროს მას შეუძლია მოსთხოვოს მას მასში მიცემული სასყიდლის უკან დაბრუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალი ვერ გათხოვდება მეორეთ.

შვილები ეკუთვნიან მამას. ქმართან ცხოვრების დროს ცოლი ზრუნავს მათზე. ქმრისგან განშორების შემდეგ გარეშე არის მათთვის.

თუ ქმარი მოკვდა, ცოლი შეადგენს მისი მემკვიდრეობის ნაწილს და ქონებასთან ერთად იყიდება“.

ასეთ უფულებო მდგომარეობაშია ქალი აღმოსავლეთში, და ეს უფლება აკურთხეს, და აკანონეს ევროპიდან მოსულმა ფრანგებში გამოწყობილმა ველურებმა.

„ტამილა“ არის ისტორია აღმოსავლეთის ერთი ასეთი უფულებო ქალის:

მესამე ლოკის (სალამოს ლოკის ეამს) 160 დღით იმყოფდა მამამ ის შორეული მხარედან მოსულ უცნობ კაცს.

მიჰყიდა და უთხრა: შენ შენს ცოლზე გაქვს ყველა უფლება, გარდა მოკვლისა.

შეუთვარდა ტამილას უცნობი კაცი. კარგი კაცი აღმოჩნდა აკლი. შეზვიცა ცოლს სიყვარული სიკვდილამდე. ბედნიერია ტამილა, ყვე-

*) კაბილემი აღმოსავლეთ ალერის მცხოვრებლები არიან.

ლაფერი კარგათ მიღის, სანამ სცენაზე არ გამორჩდება ლამაზი მინა და აკლი არ ენება სიყვარულით მისდამი და სახლში მოიკვანს.

ტამილა ითმენს, უნდა მოითმინოს მაგრამ სიყვარულის გაყოფა ვერ აიტანა. შეურაცყოფა მიაყენა მეტოქეს.

„ან მე ან ის“.
ასე სევამს მინა საკითხს.

აკლის უშიძის ტამილას მოშორება, მაგრამ უთმობს ბინას, აკლი მოჯადოებულია.

აკლი განშორდა ტამილას. დაუბრუნა ის მამას. დაატოვებინა შვილი—ფატიმა.

და ოჯახშიც ტამილა მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის საგანია.

აღერსის, მოფერების ნაცვლად მამის პირველი სიტყვებია:
„ო, ჩემო თავო, ბედნიერო, აკლი უკან არ ითხოვს სასყიდელს“.

ქალს ოჯახში მხოლოდ სარგებლიანობის თვალსაზრისით აფასებენ.

გავა ცოტა დრო. ტამილას კვლავ ყიდის მამა.

საქონელი მამის იძლევა მოგებას, როცა ის ბრუნვავია.

ტამილა—საქონელია.
რამდენადაც მეტი სარგებლობის მიღება მოხერხდება ამ საქონლიდან, მით უკეთესი მისი პატრონისათვის.

ტამილას მიყიდიან მოხუცებულ ვაჭარს ლახრაშს.

აკლი ახალგაზრდა იყო, მდიდარი, ის ანებივრებდა თავის ცოლს.

ლახრაში მოხუცია, ვაჭარი. ქალი მისთვის ჟინის მოსაკლელი საშვალეა და შემდეგ საქონელი, ისეთივე საქონელი, როგორც სახე დარი, აქლემი და სხვა.

ტამილას გაუბამენ და წისქვილის ქვას აბრუნებებენ.

ლახრაშს ეჭვი შეეპარება, რომ ტამილა ლალატობს მას, მოუქნევს ჯოხს, რომელიც მოხვდება ბავშვს.

ბავშვი მოკვდება.
ლახრაშს ატუსაღებენ.

ტამილას გამოავლდებენ ლახრაშის სახლიდან.

საწყალი ქალი!... მან, ალბათ დაჰკარგა ბავში, რომელიც მას უსახვლოდ უყვარდა!—ეს ქალია ტამილა.

პოლიციის კომისარმა ის სამხედრო გოსპიტალში გაგზავნა.

ტამილა სიტყვიერა, ბოდაეს, იგონებს თავის ბავშვს, თავის საყვარელ აკლის... მოყვით თარჯიმანი. ეს აკლი არის.

უკანასკნელი ნახვდა და გამოთხოვება. ასეთია აღმოსავლეთის ერთი უფუფლებო, გაყიდული ქალის ტრაგედია.

რასაკვირველია, ფერდინანდ დიუშენის ლამაზ ფორმებში გამოხატული პროტესტი ვერ განათავისუფლებს აღმოსავლეთის ქალს.

ვერც ფრანგული „კულტურის“ შემოღება უშველის საქმეს, რადგან ქალი „განათლებულ“ ევროპაშიაც იგივე ნივთია, როგორც ველურ კაბილიაში.

აღმოსავლეთის ქვეყნებში უკვე გაისმის მონახლოებული რევოლუციის გუგუნები, რომელიც ნაციონალურ და სოციალურ განთავისუფლებასთან ერთად, ქალსაც განათავისუფლებს.

ე. წ.

ყოველთვიური სამხატვრო-სალიტერატურო, სამეცნიერო ჟურნალი „მნათობი“ № 1. ტფილისი 1924 წ. თებერვალი. საქართველოს პოლიტიკანთა ლიგის შთავაზნით. გამოცემა.

ჟურნალი „მნათობი“ გამოსვლა ფრიად სერიოზულ და იმავე დროს სიმპატიურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. სრულიად სამართლიანად აღნიშნავს რედაქცია თავის წინასიტყვიანობაში რომ „დღემდის ქართულ ენაზე არ გამოდიოდა არც ერთი სერიოზული ჟურნალი, რომელსაც შემოეკრიბოს თავის გარშემო რევოლუციონური ინტელიგენციის საუკეთესო ძალები“. რევოლუციონური ინტელიგენციის ძალების შემოკრება მეცნიერების სამსახურისათვის, იმ მიზნით, რომ მეცნიერება მისებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს რევოლუციონურ ხანაში, მრავალ მხრივ საჭირო და აუცილებელია. დღეს ჩვენ არა მარტო სოციალურ ცხოვრებაში ხედავთ ძირიან გადაფასებას, არამედ მეცნიერებაც განიცდის ძირითად ცვლილების პროცესს. აი, ამ მხრივ არის სწორედ საჭირო რევოლუციონური ინტელიგენციის დარაზმვა: მან უნდა მეცნიერულად დაამუშავოს პროლეტარული რევოლუციონური იდეოლოგია, მსოფლმხედველობის ყოველივე დარგში საჭიროა შეიქრას ახალი აზრი, ახალი სიტყვა. ამ მხრივ მარქსისტულ მსოფლმხედველობის შესწავლა და დამუშავება პირველ საკითხად სდგას რევოლუციონური ინტელიგენციისათვის. ყველას კარგად მოეხსენება, რომ მარქსიზმი, როგორც მსოფლმხედველობა, ფართო და დიდი. ეს ერთი მხრივ იმას ნიშნავს რომ მას როგორც მსოფლმხედველობას მოუპოვება თავისი გარკვეული პასუხი ყველა დარგებზე ადამიანის შემეცნებისა, როგორც სოციალოგიაში. ისე ხელოვნების და ფილოსოფიაში. მეორეს მხრივ ასეთი სირთულე მოითხოვს მის დინჯს და სერიოზულ შესწავლას. მარქსიზმი იმავე დროს პროლეტარული მსოფლმხედველობაა, რომელიც გარკვეულ პასუხებს აძლევს პროლეტარიატს ყველა მის მიერ დასმულ საკითხებზე. მარქსიზმის არც-

ბითი შესწავლა მით უფრო ხდება დღეს საჭირო, რომ მუშათა თანამედროვე მოძრაობა მარქსიზმის დროშის ქვეშ მიმდინარეობს. თეორიულად სწორად შესწავლილი მარქსიზმი უტყუარი გარანტიაა სწორი პრაქტიკული გეზის გამოძიების. ამიტომაც არის ჟურნალი „მნათობი“ მიერ დასმული მიზანი სრულიად გასაგები ხდება—ეს მიზანი მარქსიზმის როგორც თეორიული ისე პრაქტიკული შესწავლაა ჟურნალის № 1 ამ საკითხითვის ვრცელი და დასაბუთებული წერილები აქვს მიძღვნილი.

დღეს დამკვირვებელი ამოცანათ სდგას პრაქტიკული მარქსიზმის ე. ი. ლენინიზმის შესწავლა, ლენინიზმი ეს არა მარტო პრაქტიკიზმი არის, ეს ერთსა და იმავე დროს როგორც თეორია, აგრეთვე პრაქტიკაა. ლენინს შესაინაშნავი შრომები აქვს სოციალოგიაიდან, ფილოსოფიიდან, თეორიულ პოლიტიკურ ეკონომიდან სახელმწიფოს სწავლის შესახებ და სხვ. ამათი შესწავლა დღიურ წესრიგში სდგას და ჟურნალმა „მნათობმა“ მას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს.

ჟურნალს რამოდენიმე განყოფილება აქვს. სამხატვრო განყოფილება იწყება დღეში შენკელაიას რომანით „სანავარდო“. ამ რომანში მოთავსებულია მხოლოდ ნაწილი, ამიტომაც ჯერჯერობით რომანის შესახებ არაფერი ითქმის. შემდეგ მიდის ი. ხონელის ლექსი. ჟურნალში მოთავსებულია თარგმანი მ. სერგებრიანის ლექსის კომუნა და ტარასოვ-რადიონოვის შოკოლადი. ლიტერატურულ განყოფილებაზე ერთი რამ უნდა ითქვას აუცილებლად. თარგმანები თავისთავად კარგია, მაგრამ საჭიროა ქართული პროლეტარულ წერლობის უფრო აქტიური ჩაბნა და პროლეტარული ლიტერატურის პოპულარიზაცია. მეორე განყოფილებაში—მარქსიზმის თეორია და პრაქტიკა—მოთავსებულია ფ. მახარაძის წერილი „რუსეთის რევოლუცია და ლენინი“—წერილი ვრცლად ხემა ლენინის როლს რუსეთის რევოლუციაში. საინტერესოა მ. ტროტსკის წერილი—„დაიდა დიდალა შორის“. კ. ორაგველიას წერილი „ლენინი და ბრესტი“—საინტერესოა როგორც ისტორიული მასალის თვალსაზრისით. წერილში ფართოდ არის გაშლილი ის მრავალმხრივი საყვარელი მომენტი ოქტომბრის რევოლუციის, რომელსაც „ბრესტის ზავი“ ეწოდება. ბრძოლა ამ საკითხის გარშემო ლენინსა და მემარცხენე კომუნისტების შორის, პირობები, რომლებმაც ლენინი მიიყვანეს „ბრესტის ზავამდე“ ყველაფერი ეს დეტალურად აღწერს. „ბრესტი“—უდიდესი გამარჯვება იყო ლენინის გენიის. ამ ზავის შესახებ კიდევ ბევრი რამ უნდა დაიწეროს.

ამხ. ილ. ვარლიან-მგელაძის ეკუთვნის წერილი „პოლიტიკები და იაკობინელები“—წერილები პოლიტიკურ ეკონომიიდან კ. ორაგველიძის საყვარელია. ავტორს მიზნად აქვს დასახული ვრცელი წერილები უძღვანს მარქსის პოლიტიკურ ეკონომიის საფუძვლებს. მარქსიზმი როგორც ეკონომიური მოძღვრება დიდ შენობას წარმოადგენს. მისი საფუძვლების დალაგება მეტად რთული საქმეა. საჭიროა ყოველ მომენტის დეტალური გაშლა.

ლიტერატურა

თორემ შეიქმნა თეზისურ კონსპექტის შთაბეჭდილება. ობიექტივიზმის პრობლემა პოლიტიკურ ეკონომიაში დიდი საკითხია. პირველ წერილში ამ საკითხზე ცოტა-ოდენია ნათქვამი. ალბად შემდეგ წერილებში ამ პრობლემებს წამოაყენებს მთელი თავისი სიგრძე სივანით. მოსე გოგიბერძის წერილი, ალ. აინშტანის რელატივიზმის თეორია, —სრულიად საფუძვლიანი და მეცნიერულად დამუშავებულ წერილს წარმოადგენს. კარგი ენა-გასაგები, რაც აინშტანის თეორიის დალაგების დროს მთავარია, დეტალურად წერილების დასრულების შემდეგ.

შემდეგ მიდის მეცნიერული წერილები ვ. პარნაბიშვილის ქვანახშირის მარაგი საერთოდ და კერძოდ საქართველოში და ის. ორაგველიძის „გაბაშაღაზრდება“.

მე 4 განყოფილებაში მოთავსებული წერილი „მუშათა პარტიის“ მთავრობა ინგლისში წერილი ეკუთვნის ნ. კიკნაძეს.

წერილი ბოვიტრებულის და ვრცელი არგუმენტაციით არკვეს „მუშათა პარტიის“ როლს და მის მთავრობის „მუშურ“-გეზს ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში; წიგნში მკაფიოა გაშუქებულია ის ლაღატი, რომელსაც სწადის „მუშათა მთავრობა“ სოციალისტურ რევოლუციის წინაშე. განყოფილებაში „კრიტიკა და პუბლიცისტიკა“ მოთავსებულია წერილები ლარისა რეისნერის-პიმაღაების ჩრდილი და ის. გედევანიშვილის-პროლეტარულ ხელოვნების პრობლემა-რომელიც საინსტრუქციო არის გამოცხადებულად რედაქციის მიერ.

მე-9 განყოფილება-ქრონიკა და ბიბლიოგრაფია. საჭიროა ბიბლიოგრაფია უფრო მდიდარი იქნეს, და ბიბლიოგრაფია არა მარტო ქართულ გამოცემებზე იწერებოდეს, არამედ როგორც რუსულსა ისე უცხო წიგნებზედაც.

ტენიკურად ჟურნალი კარგად არის შედგენილი. ეტყობა ენერგიული ხელი. ჟურნალს არ უნდა ეწყვიოს ისეთი ბედი, რომელიც სდევს ქართულ ჟურნალებს 2—3 ნომრის შემდეგ დახტყვა. ყოველი მოსახრება იმისკენ არის, რომ ჟურნალმა არსებობა უნდა განაგრძოს.

ჟურნალში 159 გვერდია ღირს 1 მ. 40 კ. ჩერვონეცით.

მკითხველი.

საბჭოთა კავშირის ვენაციის გამოცხადება

მოსამზადებელი მუშაობა საბჭოთა კავშირის მონაწილეობისათვის საერთაშორისო სამხატვრო გამოცხადებაზე ვენეციაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. გააოფენაზე გაგზავნილი იქნება ექსპონატები სკულპტურის, მხატვრობის, გრაფიკის, სამხატვრო მრეწველობისა და სხვა.

რევოლუციონური კინემატოგრაფიის ანოთაცია.

მოსკოვში შესდგა რევოლუციონური კინემატოგრაფიის ასოციაცია. ასოციაცია ახლო ხანში იწყებს საკუთარი კინო-ჟურნალის გამოშვებას, სიდაც გაშუქებული იქნება რევოლუციონური კინემატოგრაფიის საკითხები.



რ უ ს ი თ ი .

პოეტის კაბინეტი. ვ. ი. ბრიუსოვის სახელობის ლიტერატურულ სამხატვრო ინსტიტუტთან მოეწყო პოეტის კაბინეტი.

„ჩვენი დღის პოეტები“. აქსიონოვის, გრუზინოვის და ივნივის რედაქციით ახლო ხანში გამოვა ონტოლოგია: „ჩვენი დღის პოეტები“. მონაწილეობას იღებს 53 პოეტი.

„სახტუმრო მშვენიერებაში მოგზაურთათვის“. მარტში გამოვიდა № 4 ჟურნალის „სახტუმრო მშვენიერებაში მოგზაურთათვის“. ჟურნალში მოთავსებულია წერილები გრუზინოვის, ესენინის, რიუტიკ ივნივის, მარიენგოფის და სხვების.

ჯგუფი „ოქტაბრ“. ჯგუფი „ოქტაბრ“ სრულიად ჩამოშორდა ჯგუფს „ახალგაზრდა გვარია“. ჯგუფში 25 კაცი შედის.

„ტრამვაი № 577“. პროლეტარული მწერალი ა. ბეზიმენსკი (ჯგუფი „ოქტაბრ“) სწერს პოემას „ტრამვაი № 577“.

„ვასკა კრუტოვ“. პოეტი რომანი სწერს პოემას „ვასკა კრუტოვ“.

„ლაჟმარცხებელი სტიქია“. პროლეტარული მწერალი ივ. დრონიინი სწერს პოემას „ლაჟმარცხებელი სტიქია“.

„კუზნიცა“. მიმდინარე წელს „კუზნიცას“ საგამომცემლო განყოფილებას განზრახული აქვს გამოუშვას მთელი რიგი წიგნები ახალგაზრდობისათვის.

შ უ მ მ ა ნ ი ა .

წიგნი ლენინზე. ლეიპციგის უნივერსიტეტის პროფესორმა კ. ვინდენფელდმა დასწერა წიგნი ვ. ი. ლენინზე.

ჩინეთის პოეზია. ჩინური ენიდან ცნობილია მთავრმგნემა ვალტერ სტრზოლამ თარგმნა გერმანულად ჩინური ნოველები.

მიწიერაფია „ბალზაკ“. ფრ. კოენის გამოცემილბამ გამოცხა რ. კურტუსის მონოგრაფია „ბალზაკ“.

გ. გაუპტამის ახალი დრამა. გერგარტ გაუპტამი სწერს ახალ დრამას.

„საგაზეთო შედეგები“. რ. კემერერის გამოცემილბამ ბერლინში გამოცხა მეტად საინტერესო წიგნი „საგაზეთო შედეგები“. წიგნში თავმოყრილია წერილები გაზეთებიდან. არის წერილები მარატის, რობესპიერის, ნაპოლეონის ბიულეტენები, ფელეტონები შილერის, ვოლტერის, მალზაკის, ზოლსის; კარლ მარქსის წერილი პარიზ-ს კომუნის დასაცავად; წერილები მამინის, კომუტის, ჟორსიას და სხვების.

ნიკოლოზ მეორეს დღიური. ბერლინში გამოვიდა ნიკოლოზ მეორეს დღიური 1890 წლიდან დინასტიის დაქვემდებარებაში.

ნანსენის წიგნი ნანსენზე. ლეიპციგში გამოვიდა ფრანკოვ ნანსენის წიგნი „Russland und der Zreide“ (რუსეთი და ზაიცი*) წიგნი გამსჭვალულია სიმპატიებით საქმითა კავშირისადმი.

ტროცკის წიგნი გერმანულად. ჰამბურგში გერმანულ ენაზე გამოვიდა ლ. ტროცკის წიგნი „ყოფა-ცხოვრების საკითხები“.

ინტერესი რუსეთის ლიტერატურისადმი. ინტერესი რუსეთის ლიტერატურისადმი გერმანიაში არ სუსტდება. გამოვიდა დოსტოევსკის ახალი თარგმანი, გამოიცა ტურგენევის ნაწერები, მზადდება გამოსაცემად სხვა რუსი ავტორები.

ტოლსტოი გერმანულ ენაზე. შნეიდერის გამოცემილბამ აზხადებს გამოსაცემად ლ. ტოლსტოის „ცოცხალი ლეში“.

სადაუანდავთა.

ანრი ჟერვესის მოგონებანი. ჟურნალში „Bevue de Paris“ დაიბეჭდა მხატვარ ანრი ჟერვესის მოგონებანი ვიქტორ ჰიუგოს, მოპსანის და სხვების შესახებ.

ჟორჟ ზანდის ახალი წერილები. 1923 წლის დამლევს გამოქვეყნდა ჟორჟ ზანდის ახალი წერილები.

ახალი ჟურნალი. პარიზში დაიწყო გამოსვლა ახალმა ჟურნალმა „Nos Fontes“, რომელიც უმთავრესად პოეზიას და პოეზიის საკითხებს დაუთმობს ადგილს თავის ფურცლებზე.

გენკურების პრემია. განკურების პრემია 1923 წელში მიიღო ლ. ფაბრმა თავისი ახალი რომანისთვის. ლ. ფაბრი უბრალო გლეხი იყო და თავისი ნიჭის წყალობით გაიკაფა გაზ ლიტერატურაში.

მასალები დოსტოევსკის შესახებ. პარიზში გამოვიდა წიგნი, რომელიც შეიცავს ყველა მასალებს რაც კი დღემდე გამოქვეყნდა დოსტოევსკიზე მათ შორის „წერილები მკვდარი სახლიდან“, „სტავროგინის აღსარება“ და 35 ახლად ნახული ჯერ გამოუქვეყნებელი წერილი.

წიგნი ტოლსტოიზე. პარიზში გამოვიდა ტოლსტოის შვილს ლ. ლ. ტოლსტოის წიგნი „სიმართლე მამაჩემის შესახებ“.

კუპრინის მოთხრობები. გამოვიდა ფრანგულ ენაზე კუპრინის საბავშვო მოთხრობების წიგნი.

ინვლისი.

ნობელის პრემია 1923 წელში მიიღო ირლანდიელმა პოეტმა ვ. ჯოტსმა.

ხანსკრიტული ლიტერატურა. 1924 წლის დასაწყისში ლონდონში გამოვიდა პროფ. კეიგის ახალი შრომა ხანსკრიტული ლიტერატურის შესახებ, რომელიც ეკუთვნის მეორე ათას წელს ქრისტეს დაბადებამდე.

კიპლინგის ახალი მოთხრობები. ლონდონში გამოვიდა რ. კიპლინგის ახალი საბავშვო მოთხრობები.

უელსის ახალი წიგნი. იანვრის დამლევს ინგლისში გამოვიდა ვ. უელსის ახალი წიგნი „დიდი მასწავლებლის ისტორია“.

ჩეხოვის პიესები ინგლისურ ენაზე. კონსტანცია გარნეტის თარგმანით იაგლისურ ენაზე გამოვიდა ა. ჩეხოვის პიესების კრებული.

ა. ლუნაჩსკის პიესები. გამოვიდა ინგლისურ ენაზე ან. ლუნაჩსკის პიესები.

თეატრი

კინო

მუსიკა

ბ რ ს ე თ ი

„ტრესტი D. E.“ მეიერხოლდის სახელობის თეატრში იღვმება ახალი პიესა ინსცენიროვკა „ტრესტი „D. E.“, რომელიც შედგენილია ნაწილობრივ ი. ერენბურგის ამავე სახელწოდების რომანის ნაწილობრივ კი კოლერმანის „გვირაბი“-ს მიხედვით.

მოიხის გასტროლები. ცნობილი ტრადიკის სანდრო მოიხის მონაწილეობით მოსკოვის მცირე თეატრში დაიდგა შექსპირის „ჰამლეტ“-ის პიესის „მოჩვენებანი“ და ლ. ტოლსტის „ცოცხალი ლეში“.

„მანქანების ჯანყი“. მოსკოვის დიდ დრამატულ თეატრში დაიდგა ალ. ტოლსტოის ახალი პიესა „მანქანების ჯანყი“.

„სკანდალის ტები“. მოსკოვის აკადემიური დრამის თეატრში ამზადდებიან ბ. შოუს ახალ პიესას, „სკანდალის ტები“.

„ლიულის ტა“. მთავარი სარეპერტუარო კომისიის დადგენილებით, სინთეტური (ახალი) თეატრის რეპერტუარიდან მოიხსნა პიესა „ლიულის ტა“.

სადარბაზო.

„მოხუცი ქალი“ თეატრში „მეზონ დელ ვიკ“ დაიდგა გარსელ ბელვიანის ახალი პიესა „მოხუცი ქალი“. კრიტიკა აღნიშნავს, რომ ავტორს ემჩნევა ბალზაკისა და დოსტოევსკის გავლენა.

„შიშველი“. პარიზის თეატრ „ვოდვიელ“-ში განაახლეს ანრი ბატაილის პიესა „შიშველი“. მთავარ როლს ასრულებს მსახიობი ივონა დე-ბერეი.

სარა ბერნარის ბიოგრაფია. ლონდონში გამოვიდა ცნობილი მსახიობის და დრამატურგის მიერ ბერტონის ქვრივის წიგნი „ჩემი ნაცნობობა სარა ბერნართან“.

„მონა ვანას განახლება“.

ფრანგული კომედიის თეატრში განაახლეს მ. მეტრლინის „მონა ვანა“.

ბ რ ს ე თ ი.

„დიდი აური-ზაური არაფრისთვის“. ბერლინის სახელმწიფო თეატრში განაახლეს ვ. შექსპირის „დიდი აური-ზაური არაფრისთვის“ იურგენ ფრედრიხის ორგინალური დადგმით.

„ყვავილების ბაღი“.

გესსენის თეატრში დიდის ალტაევით შეხვედენ გერმანელი დრამატურგის ფრიც უნტრუხ ახლ დრამის „ყვავილების ბაღი“ („Rosenbeiganten“).

ი ტ ა ლ ი ა.

ტატიანა პავლოვა ხაზღვარ-გარეთ. მ.ლანის გაზეთები დიდის ქებით იხსენიებენ რუს მსახიობ ქალს ტატიანა პავლოვას, რომელიც თავის როლებს იტალიურ ენაზე ასრულებს. ტ. პავლოვას განზრახვა აქვს მოაწყოს იტალიური დრამატული დასი. რეპერტუარში გარდა უაილდის, გეიერმანის და კ. ჰამსუნის პიესებისა შევა ოსტროვსკის და არციაზვის პიესები.

სადარბაზო.

ქალთული კინო-ფილმები საფრანგეთში. საქ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადებით მიმართა განათლების კომისარიატს, რომ მასთან არსებული სახ. კინოზრეველობა შეუთანხმდეს საფრანგეთში არსებულ ქართველ ხელოვანთა კავშირს, საფრანგეთში ქართული კინო-ფილმების გადაზიდვის შესახებ.

ახალი კინო-სურათები. დასავლეთ საქართველოდან დაბრუნდა რეჟისორი პერესტიანი მსახიობებით, რომლებმაც გადაიღეს ადგილობრივ, ლენტეხე ნინოშვილის „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ და ვ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“.

ბ რ ს ე თ ი.

„პავანი“ მოსკოვის გაზეთები დიდის ქებით იხსენიებენ მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტის მიერ რუსეთისათვის შექმნილი კინო-სურათს—„პავანი“. სურათი არის ლეგენდა ცნობილ სკრიპკის დამკვერულზე.

პროლეტარულ კინოს მშენებელთა საზოგადოება. მთელ რიგ ორგანიზაციების თათბირზე მოეწყო პროლეტარულ კინოს მშენებელთა საზოგადოება (საზოგადოებაში შედიან კომინტერნი, პროფინტერნი, ახალგაზრდობის კომინტერნი და სხვა რევოლუციონური და პროფ. ორგანიზაციები). საზოგადოება მიზნად ისახავს კინემატოგრაფიაში ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან ბრძოლას და კინოს გამოყენებას პროლეტარულ სახელმწიფოს ინტერესებისათვის.

სურათების გაცვლა-გამოცვლა. „სევზაკინო“ შეუთანხმდა შორეული აღმოსავლეთისა და ჩინეთის მთელ რიგ ორგანიზაციების საკუთარი ნაწარმოებთა ახალ ამერიკულ სურათებზე გაცვლის შესახებ.

„სტეჟან ხალტურინ“ „სევზაკინო“ შეუდგა გადაღებას სურათის „სტეჟან ხალტურინ“. სურათს დასდგამს რეჟისორი ივანოვსკი.

„ალიასკის გმირი“ „კინო-სევერ“ უშვებს სურათს „ალიასკის გმირი“. მთავარ როლს ასრულებს მსახიობი ვ. დესმონდ.

„განწირული ერები“ „კინო-სევერ“ ამზადებს სურათს „განწირული ერები“. მთავარ როლს ასრულებს პაულ ვეგენერი.

სიყვარულის ტრადიცია გოსკინოს ლენინგრადის განყოფილებამ გერმანიიდან მიიღო სურათი „სიყვარულის ტრადიცია“. მთავარ როლს ასრულებს ცნობილი მსახიობი ქალი მია მია.

„სიკვდილის სხივი“. გოსკინომ მიიღო პულოკინის სოციალ კრიმინალური ხასიათის სცენარი „სიკვდილის სხივი“, რომელსაც დასდგამს ლ. კულბოვი.

„კრემლი“. სევზაკინომ უკვე დაამთავრა გადაღება სურათის „კრემლი“ (მისი წ.რსული და აწყმყო). სურათს უკვე უჩვენებენ მოსკოვში.

გილიოტინა. მოსკოვში უჩვენებენ სურათს „გილიოტინა“ საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიიდან. დან ჯონის დარბებს—პიერის როლს ასრულებენ ცნობილი გერმანელი მსახიობები იანტიხ და ვერნერ-კრაუსი.

სადარბაზო.

ვანო ფალიაშვილის იუბილე. 16 აპრილს საოპერო თეატრში გაიმართება ვანო ფალიაშვილის იუბილე—მისი სამუსიკო სარბიელზე 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად.

ახალი ოპერა. კომპოზიტორმა კ. ფოცხვერაშვილმა დასწერა ახალი ოპერა: „სინათლე“. **ახალგაზრდა მომღერლის ხაზღვარ-გარედ გამგზავრება.** ახალგაზრდა მომღერალი ქაშაქაშვილი მიემგზავრება საზღვარ-გარედ უმაღლესი სამუსიკო კონდის მისაღებად.

ბ რ ს ე თ ი

„კომედიატების მეფე“ მოსკოვის დიდ თეატრში ამზადდებიან დასადგმელათ ეილბერის ახალ ოპერტას „კომედიატების მეფე“.

სირიმის სიმღერები. სახელგამის მუსიკალური სექტორი ახლო ხანში ცალკე კრებულათ უშვებს სირიმის სიმღერებს, რომლებიც შეგროვდა მუსიკოსმა—ენტოგრაფმა ა. კონჩევსკიმ.

„მოცეკვავე კატო“. მუსიკალური კომედიის თეატრში მოსკოვში დაიდგა ეილბერის ახალი მუსიკალური კომედია „მოცეკვავე კატო“.

ალტრედ ბტირტეტი. მოსკოვში მიიღიან ცნობილ სკრიპკის დამკვერულს ალტრედ სტრიტეტის.

ბ რ ს ე თ ი.

ახალი საოპერო თეატრი. ბერლინი გამიღრდა ახალი საოპერო თეატრით, რომელიც მიზნად ისახავს გამართოს მშრომელთათვის მისაწვდომი წარმოდგენები.

„გოფმანის ზღაპრები“ ბერლინის სახელმწიფო ოპერაში განახლდა „გოფმანის ზღაპრები“. დირიჟორობდა გერმანი კლეიბერი.

სადარბაზო.

„უძლიერები“. პარიზის „კომიკურ ოპერაში“ დაიდგა ლირიკული მუსიკალული დრამა ვლენობის ცხოვრებიდან „უძლიერები“. მუსიკა ეკეთენის კსაფე ლერუს.

ვაგნერის ხხოვნის აღსანიშნავად. პარიზის მუსიკალურმა ურჩანამ „Revue Musical“ გამოუშვა ნომერი „ვაგნერი და საფრანგეთი“.

ა მ უ რ ბ ა.

გამოკვლევა რემბრანტის შესახებ. დიდი ინტერესი გამოიწვივა ხელოვნების ისტორიკებს შორის ამერიკელი მკვლევარი ვანდიესის წიგნმა რემბრანტის შესახებ.

სსჯა დს სსჯა აპპავა.

წიგნი მარტინ ლიუტერზე. გერმანიაში ფერის გამოცემლობამ გამოუშვა ა. შილტის წიგნი: „მარტინ ლიუტერი და კლასთა ბრძოლა“.

წიგნი წითელ არმიზე. ჰამბურგში გამოვიდა წერილების კრებული წითელ არმიზე.

მოგონებები ხაშქალაქო ომზე. ბერლინში გამოვიდა ი. კაშოვსკიანის „მოგონებები ეიბგორნზე და ლენინზე თედასხის შესახებ“.

